№ 107 1877—1905 № 107

შაბათი, 2 ივლისი შაბათი, 2 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მ.ნ. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართ. ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

„**ჯეჯილის**“ **რედაქცია** მწუ ხარებით აუწყებს უდროვოდ დაკარგვას რედაქციის წევრის და მუდმივ თანამშრომლის

კნიაჟნა სოფიო ირაკლის ასულის ციციშვილისას

რომელიც გარდაიცვალა სოფელ კეხიჯვარში, 18 ივნისს. პანაშვიდი დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში შაბათს, 2 ივლისს, დილის 12 საათზე. (2—2)

სამშაბათს, 24 ივნისს, უეცრად გარდაიცვალა

ივანე უჩას ძე გაგუა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა შვილებითურთ **ანნა გიორგის ასული გაგუასი**. პანაშვიდი საღამოს ექვს საათზე, საკუთარ სახლებში, ანდრეევის ქუჩაზე, რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ. გასვენება დანიშნულია შაბათს, 2 ივლისს, დილის 9 საათ., კუკიის მართლმად. სასაფლაოზე. (2—2)

კვირას, 3 ივლისს, **გორის ქალაქის ბაღში,**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, გაიმართება

სეირნობა და ბაზარი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არჯანიტაკი. 11—1 ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი,**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

ифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დისამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

მეტი თვითცნობიერება!

არის ზოგიერთი ისეთი საგანი, რომელიც არ ახალია,—ძველია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მუდამ განსაკუთრებულ ყურადღების მისაქცევია, რადგან იგი ჩვენს საერთო სენს გამოხატავს, რომელიც საწამლო და მოსაშორებელია. ერთი ასეთი სენია ჩვენში ხალხოსნურ თვითცნობიერებისა და შეგნების ნაკლებობა. ამის შესახებ ჩვენს გაზეთშიაც რამდენჯერმე გვქონია მსჯელობა გამართული, მაგრამ, რახან ხსენებულ სენის მაჩვენებელი ფაქტები ხშირია ჩვენს ცხოვრებაში, საჭირო ხდება ამ „ძველ ჭირს“ ხშირად შევეხოთ ხოლმე და, დღესაც მასზე დავიწყოთ ლაპარაკი.

როგორც ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი, ისე საერთოდ მთელი ხალხიც მხოლოდ მაშინ განვითარდება და დაწინაურდება, როცა შეიგნებს თავის ინტერესებს და ამ შეგნების თანახმად იწყებს ენერგიულ მოქმედებას. ეს ისეთი ელემენტარული, საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ სხვა რომელსამე დაწინაურებულ ხალხში მისი განმეორება მოსაწყენ ფრაზად, ჩაითვლება,—ისეთ ფრაზად, რომელსაც ფრანგები lieu commun-ს ეძახიან.

ჩვენში კი იმავე აზრის ათასჯერაც განმეორება ვერ ჩაითვლება ზედმეტად, რადგან ჩვენ კიდევ არ მიგვიღწევია სავსებით იმ ხანამდის, როცა ხალხოსნური შეგნება და ცნობიერება ძვალსა და რბილში გვექნება გამჯდარი და ამიტომ საჭირო აღარ იქნება მის ნაკლებობაზე ჩივილი,—წერილების წერა და ლაპარაკი.

ჩვენ ჯერ კიდევ ვითქოს ვერ შეგვიგნია, რომ, მაგალითად, ენის დაცვა და განვითარება აუცილებელი პირობაა ხალხოსნურ წარმატებისა. არ მოიპოვება დედამიწაზე ისეთი ცოტად თუ ბევრად შეგნებული ხალხი, რომელიც თავის ენის დაცვის საჭიროებას აქსიომად არ სთვლიდეს და ამიტომ ამ საკუთარ კულტურის აღორძინებისა და გამოხატვის სახსარს დიდის მზრუნველობით არ ეკიდებოდეს და არ უვლიდეს. ჩვენ კი მხოლოდ სიტყვით ვგევართ ამგვარ შეგნებულ ხალხებს, რადგან უფრო სიტყვით ვიცით ენის ქომაგობა და საქმით კი ხშირად გვავიწყდება თავის დაცვაზე ზრუნვა და სიტყვასთან საქმის შეთანხმება. ამის დასამტკიცებლად დღეს მოგახსენებთ ერთ პატარა ამბავს, რომელიც, მიუხედავად თავის სიპატარავისა, ფრიად დამახასიათებელია ჩვენებურ „მოღვაწეობის“ და შეგნებულ საქმიანობისა.

ტფილისში არსებობს ერთი კერძო ქართული სასწავლებელი, რომელსაც სათავად-აზნაურო სკოლა ეწოდება სახელად. თითქოს ამ სკოლაში, რომელიც თავიდანვე უფრო ქართული ენის გულისთვის იქმნა დაარსებული, მართლა კარგად უნდა ყოფილიყო დაყენებული დედაენის სწავლება. ნაცვლად ამისა, უკანასკნელ ხანებში ისეთი ფაქტები გამომჟღავნდა კრებებშია და გაზეთშიაც, რომ უკიდურესი პესსიმისტიც კი გაოცა. ქართული ენის სწავლების საქმე ამ სკოლაში თურმე ყოვლად უვარგისად ყოფილა მოწყობილი.

სკოლის გამგებლებს ასეთი სიბრძნეც კი მოუმოქმედნიათ: მოსამზადებელ განყოფილებაში მასწავლებლად მოუწვევიათ ისეთი კაცი, რომელსაც ერთი ინჩიც კი არ გაეგება ქართულის ენისა. ეს მასწავლებელი გახლავთ ბ-ნი კორხანიდი, ცნობილი არა მარტო ამ მხრივ, ე. ი. მასწავლებლობით, არამედ ერთ-ერთ უკანასკნელ სასკოლო კრებაზე მის გამო წარმომდგარ „სკანდალით“ და ზოგიერთ სხვა მხრივაც.

ბ-ნ ილია ფერაძის წერილში, რომელსაც ჩვენ დღეს ვბეჭდავთ, მკითხველი ბევრ საინტერესო ცნობებს ამოიკითხავს ბ-ნ კორხანიდის შესახებ. იგი გაიგებს, რომ ბ-ნი კორხანიდი ყოფილა „დეკანოზ ვოსტორგოვის სურვილის თანახმად ქართულ სკოლებისათვის სახელმძღვანელოს შემდგენელი“, რომ მას ჰყვარებია მუნჯური მეთოდი და პირველად ამ ნიადაგზე შეთანხმებულა დეკანოზ ვოსტორგოვთან; რომ მას, იმავე დეკანოზ ვოსტორგოვის დახმარებითა და მფარველობით, ფულით შემწეობაც კი მიუღია საეპარქიო საბჭოსაგან, და სხვა და სხვა..

ერთის სიტყვით, ქართულ სკოლაში ჩვენს „გონიერ მოღვაწეებს“ მოუწვევიათ ქართველთაგან კარგად ცნობილ სასულიერო პირის თანამოაზრე და მეგობარი, ჩაუბარებიათ მისთვის ქართველ ბავშვების „განათლება“ და უთქვამთ: აქ, ჩვენთან, პრაქტიკულად განახორციელე ის პრინციპი, რომელსაც შენს სახელმძღვანელოში „თეორიულად“ ემსახურებიო...

ჭირმა თავი მალა, მალა.. მაგრამ ბოლოს მაინც ვერ დაიმალა, და ამას წინად სასკოლო „საზოგადოების“ კრებაზე ერთმა წევრმა, დ. დუმბაძემ, სხვათა შორის, მოიხსენია, რომ სკოლის მეთაურებმა დეკანოზ ვოსტორგოვის აგენტი მოიწვიეს მასწავლებლადაო. გაიმართა კამათი, რომლის დროს თვითონ კომიტეტის მხრიდანაც კი აღიარეს, რომ ეს საქმე კარგად ვერ მოუვიდათ და ამიტომ ცდილობდნენ კიდეც ცნობილ „მეგობრის“ თანამოაზრის თავიდან მოშორებას...

თითქოს საშინელი არა მომხდარა რა: დაჰგმეს ის, რაც დასაგმობი იყო და ქართულ ინტერესს არ ეთანხმებოდა. თითქოს ის ქართველი პედაგოგები, რომელნიც სათავად-აზნაურო სკოლაში მსახურობენ, თანახმა უნდა გამხდარიყვნენ და კიდეც გაეხარებოდათ, რომ საზოგადოებამ ცოტათი ფხიზელი ყურადღება მიაქცია ხალხოსნურ ინტერესს ქართულ სკოლაში.

მაგრამ ნამდვილად ასე არ მოხდა. აღმოჩნდა ნაწილი სკოლის მასწავლებლებისა, რომელნიც თურმე იცავენ ბ-ნ კორხანიდს და მის „განმანათლებელ“ მოღვაწეობას. ქართულ სკოლაში ქართველი პედაგოგები იცავენ ისეთ ამხანაგს, რომელიც რწმენითა და წერით ქართველების გადაგვარების საქმეს ემსახურება!..

შემდეგ კრებაზე თვითონ ეს მასწავლებლები წამოდგნენ საიერიშოდ და მთელი დარბაზი კინაღამ არ გახადეს მუშტი-კრივის სარბიელად. მისდგნენ ბ. დუმბაძეს და საჯაროდ უშვერის სიტყვებით ლანძღეს. აღმოჩნდა ერთი ფიცხი მასწავლებელი, გვარად გოგიტიძე, რომელმაც პირდაპირ მუშტით გაიწია და ამ უცნაურ არგუმენტის ხმარება მოინდომა.

რასაკვირველია, ასეთმა „სკანდალმა“ დამსწრე საზოგადოება ააღელვა. ყველა გაოშტერა მოკრივე მასწავლებლისა და ორიოდ მისი მხარის დამჭერ ამხანაგთა საქციელმა.

ასე იყო ამბავი. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როცა „ცნობის ფურცელში“ ამ ინციდენტის ასეთი განმარტება ამოვიკითხეთ: ბ-ნმა დუმბაძემ განაცხადა,—მე ბ-ნ კორხანიდს აგენტი ვუწოდე დეკანოზ ვოსტორგოვისა და არა ჯაშუშიო, და ამგვარმა წინად ნათქვამის „გადათქმამ“ „აღელვა საზოგადოებაო“. ბ-ნ გოგიტაძის „აღელვება“ და მისგან კრივის გამართვა აქ „საზოგადოების აღელვებად“ არის დასახული, და ერთი კრინტი არაა დაძრული იმ უზრდელ საქციელზე, რომელიც ორიოდე მასწავლებელმა მოიმოქმედა იმ კრებაზე. მაგრამ რას იზამთ: ხანდახან ასეც იწერება „ისტორია“...

ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება ჩვენ ამ ჟამად არ გვაინტერესებს. უფრო საინტერესო ის არის, რომ სათავად-აზნაურო სკოლაში არიან თურმე ისეთი მასწავლებლები, რომელნიც, რაღაც მოსაზრებით, ჩვენს გადამგვარებელთა ბანაკში იდეურ მეგობრებს იძენენ და საზოგადოებაში კრივის გამართვასაც ამართლებენ...

აი, ეს არის სამწუხარო ნიმუში ჩვენის თვითცნობიერებისა..

მ. პ. კორხანიდის სახელმძღვანელო.

დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა 1901 წლიდამვე, როდესაც მან მიიღო საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო სკოლების საოლქო მეთვალყურის თანამდებობა, განიძრახა შეედგინა ისეთი სახელმძღვანელო რუსულის ენის შესასწავლად, მუნჯურის მეთოდის მოთხოვნილებათა თანახმად, რომელიც (სახელმძღვანელო) გამოადგებოდა ყოველ არა-რუსის ბავშვს არა თუ მარტო კავკასიასა, არამედ სხვა მხარეებშიაც. განზრახული იყო, ამ სახელმძღვანელოში ის სიტყვები, რომელთა გადათარგმნა მშობლიურს ენაზე აუცილებლად საჭირო იქნებოდა, დაებეჭდათ მსხვილის ასოებით.

დეკანოზ ვოსტორგოვის აზრი მოიწონა უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ. მან ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს მიმართა, გადაეკეთებინა თავისი სახელმძღვანელო „Русское Слово“-ს პირველი ნაწილი მუნჯურ მეთოდის სახელმძღვანელოდ,—ისე რომ განედევნებინა მშობლიური ტექსტი იქიდამ და რუსულ-ქართული ლექსიკონი წიგნის ბოლოში მოექცია. მაგრამ ბ-ნმა გოგებაშვილმა ჩემის და ბ-ნ ნიკ. მახათაძის პირით დეკ. ვოსტორგოვს უარი შეუთვალა.

ამის შემდეგ მან დაითანხმა ბ-ნი პ. მ. კორხანიდი **რუსულის ენის სახელმძღვანელოს შედგენაზე ისე, როგორც თვით ვოსტორგოვს სურდა.** იმ სახელმძღვანელოში მშობლიური ტექსტი არ უნდა ყოფილიყო,—ეს სახელმძღვანელო ყველა არა-რუსს გამოადგებოდა რუსული ენის შესასწავლად... ერთის სიტყვით, ეს სახელმძღვანელო იქმნებოდა საზოგადო ყველა არა-რუსთათვის, მხოლოდ რამდენიმე ათასი ცალი დაიბეჭდებოდა ქართული ლექსიკონით, რამდენიმე ათასი—სომხური ლექსიკონით და სხვა... ბ-ნმა პ. კორხანიდმა საჩქაროდ შეადგინა ასეთი სახელმძღვანელო და წარუდგინა 1903 წ. ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭოს განსახილველად.

ამ სახელმძღვანელოს ორი მეთოდიური დებულება ჰქონდა: ა) თვალ-საჩინოება რუსულის ენის შესწავლის დროს და ბ) მშობლიურ ენაზე თარგმნა მასწავლებლის-მიერ ისეთის სიტყვებისა, რომელთა შესწავლა თვალსაჩინოების საშუალებით არ შეიძლება (განყენებითი ცნობები). ერთი მასწავლებელი, რასაკვირველია, ქართულს სკოლაში კარგად გადაუთარგმნიდა მოწაფეებს რუსულ სიტყვებს,—მეორე—ცუდად, იმის მიხედვით, თუ ვის როგორ ეცოდინებოდა ქართული ენა. ამ სახელმძღვანელოს შემდგენელს ქართულის (და ყოველი მშობლიური არა-რუსული ენის) შესწავლის სვე ბედი სრულიადაც არ აფიქრებდა...

საბჭომ იმავე წელს იანვარში დანიშნა კომისია ბ-ნი კორხანიდის ახლად შედგენილ წიგნის განსახილველად... კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თვით დეკ. ვოსტორგოვი და წევრებად მე და ბ-ნი იპ. გრეკოვი.

ეს საქმე შეიტყო საზოგადოებამ და იმ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებმა, სადაც ბ-ნი კორხანიდი მსახურებს მასწავლებლად... კერძო თათბირის დროს, რომელსაც მეც დავესწარი, სკოლის მაშინდელი ინსპექტორი ბ-ნი ე. თაყაიშვილი და მასწავლებლები წინააღუდგნენ ბ-ნ კორხანიდის მეთოდს და ამტკიცებდნენ, რომ ამ მეთოდით რუსულის ენის სწავლება სკოლებში შეუძლებელიაო. მათ ურჩიეს ბ-ნ კორხანიდს, არ ეღალატნა რუსულის ენის სწავლების საქმეში ქართველ საუკეთესო პედაგოგთა-მიერ აღიარებულ პრინციპებისათვის. . ბ-ნი კორხანიდი ამტკიცებდა თავისი მეთოდის სიკარგეს, მაგრამ მაინც დაეთანხმა ამხანაგებს, მხოლოდ სთქვა: **„მე მაინც ვერ დამარწმუნეთ ჩემის შეხედულობის და პრინციპის უვარგისობაში“-ო.** ამხანაგთა ზედ გავლენითის დასთანხმდა ზემოდ დასახელებულ ორ დებულებისათვის მესამე მეთოდიური დებულებაც მიემატებინა, სახელდობრ: თითოეული ახალი რუსული სიტყვა უსათუოდ სამშობლო ენის საშუალებითაც უნდა ისწავლებოდეს

დასახელებულ საბჭოს კომისიას სხდომა ჰქონდა ბ-ნი კორხანიდის მონაწილეობით. ამ სხდომაზე მე და კორხანიდი ვიცავდით სამსავე დებულებას,—დანარჩენი ორი წევრი კი ამის წინააღმდეგი იყო.

უნდა ვთქვა, რომ მეთოდიურ დებულებათა გარეშე ბ-ნი კორხანიდის წიგნის შესახებ ჯერ აზრი არა წარმოითქვამს-რა. წიგნი ისევ ძველი დარჩა,—შეუცვლელად შინაარსის მხრით; მხოლოდ მესამე მეთოდიური დებულება მიემატა.

დეკ. ვოსტორგოვი დათანხმდა, ბ-ნ კორხანიდის მესამე დებულებაც მიეღო და წიგნი განსახილველად გადაეცა ახალ კომისიისთვის. ახალს კომისიაში მეც მოვხვდი წევრად. ამ ახალი კომისიას უნდა განეხილა ბ-ნი კორხანიდის წიგნთან ერთად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის „Русское Слово“-ც და მუნჯურ მეთოდის მქადაგებელ შელცელის წიგნებიც. მე ამის შესახებ საბჭომ მომწერა 1904 წ. 20 მარტს (№521), რომ კომისიაში მონაწილეობა მიმეღო, მაგრამ კომისიას ვერ დაეცალა თავისი აზრი წარმოეთქვა ამ წიგნების შესახებ!..

დეკ. ვოსტორგოვმა თავისი თავმჯდომარეობით გამართა 1904 წ. მარტში კრება, რომელსაც დაესწრნენ იმერეთის, გურია-სამეგრელოს, ქართლ-კახეთის და სოხუმის საეპარქიო მეთვალყურეები. კრებას ქართველთაგან არავინ დაესწრებია გარდა ბ-ნ თევდ. ჟორდანიასი. კრებამ მიიღო სახელმძღვანელოდ რუსულის ენის შესასწავლად შელცელის წიგნები.

1903 წლის ანგარიშში დეკ. ვოსტორგოვი ძლიერ აქებს ბ-ნ კორხანიდის წიგნს „Живое Слово“-ს, რომლის დასაბეჭდად საბჭომ წინდაწინ მისცა მას 600 მან. ეს წიგნი იხმარებოდა ამ ბოლო დროს გურია სამეგრელო სკოლებშიც...

მე ბევრჯერ ვურჩიე ბ-ნ კორხანიდს თავი დაენებებია ქართულ სკოლებისათვის რუსული სასახელმძღვანელოს შედგენისათვის, მაგრამ ის ერთსა და იმავეს იმეორებდა: „მე ძლიერ მსურს განვაძევო ქართულ სკოლებიდამ ბ-ნ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო „Русское Слово“-ო. სჩანდა,—ბ-ნ კორხანიდს რუსული სახელმძღვანელოს შედგენის საკუთარი კერძო, ვაჭრულ ნიადაგზე გადაჰქონდა...

ილია ფერაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

30 ივნისი.

პეტერბურგი. პეტერბურგის საზოგადოების „ნადეჟდას“ გამგეობა იუწყება, რომ, როდესაც გემს „თრინოკოს“ ბარჟა დაეჯახა და გვერდი შეუნგრია, მგზავრი არავინ დაშავებულა. გემი არ ჩაძირულა, თხელს წყალში გავიდა, მგზავრები სხვა გემზე გადასხა, ბარგიც გადატვირთა და შესაკეთებლად მაკარიას გამართა.

ორიოლი, 30 ივნისი. დმიტროვსკში მოსკოვის სამოსამართლო პალატის სესსია ლობანოვის მამულის და კარ-მიდამოს დარბევის საქმეს არჩევს. ამავე დროს ხარკოვის სამოსამართლო პალატა სევსკშიაც არჩევს ბარონ მეინდორფის, ბობილიევის და მიტარევსკის მამულების აკლების საქმეს.

პარიზი, 30 ივნისი. ინგლისელი ოფიცრები პარიზს ესტუმრნენ ღირს-შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად. პალატის სხდომაზე დეპუტატი ლაზი, ამნისტიის პროექტის გარჩევის დროს, მეტად ფიცხად მოეკიდა ანდრეს. ჩოჩქოლი ასტყდა. მინისტრმა ბერტომ ლაზის სიტყვებზე პროტესტი განაცხადა, პროექტზე ხელის მოწერა არ ისურვა და დარბაზი დასტოვა.

მოსკოვი, 30 ივნისი. ქალაქის მუშათა შვიდმა დეპუტატმა ქალაქის მოურავის ამხანაგს პეტიციით მიმართა, ნება მოგვეცით, საბჭოს დარბაზში მუშათა დელეგატების კრება მოვახდინოთო.—მოსკოვის გრადონაჩალნიკის ადგილზე ოდესის გრადონაჩალნიკს ნეიდგარდს და ჟანდარმთა კორპუსის შტაბის უფროსის თანაშემწეს ბარონ მედემს ასახელებენ.

სტამბოლი, 30 ივნისი. გუშინ საღამოთი ელჩებს ორსავე ნოტაზე პორტამ პასუხი გასცა. იგი მაკედონიაში საერთაშორისო ფინანსიურ კონტროლის დაწესების წინააღმდეგია. პორტას განუზრახავს თავისი კონტრ-პროექტი წარადგინოს.

ბერლინი, 30 ივნისი. თავადმა ბიულოვმა საგარეო პოლიტიკის კავშირის საბჭოს გუშინ საიდუმლო განცხადება გაუზიარა. ეს კომისია იშვიათად იკრიბება ხოლმე. უკანასკნელი სხდომა ჩინეთის ექსპედიციის წინად ჰქონდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ კომისიის პრეზიდენტმა, ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტმა პოდევილსმა, მოკავშირე სახელმწიფოთა სახელით საიმპერიო კანცლერის საგარეო პოლიტიკას სრული ნდობა გამოუცხადა.

პეტერბურგი, 30 ივნისი. სედლეცის გუბერნიის სოფ. ლასკარჟევში, 2 ივნისს ერთი კაცი მენინგიტით გახდა ავად და 7 ივნისს გარდაიცვალა.

მოსკოვი, 30 ივნისი. შუვალოვის მკვლელი საშიშ პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლებოდა. როდესაც იგი პრეჩისტენსკის საპოლიციო განყოფილებიდან გაიქცა, მის დამჭერს დიდი ჯილდო აღუთქვეს. ტრეხგორნის ქარხნის დაწვის დროს ბევრმა შენიშნა, რომ იგი გრადონაჩალნიკს უახლოვდებოდა.

ეროვნული

მკვლელობის შემდეგ დამნაშავეს ცემით გვერდები ჩაუმტვრიეს.

ბათომი, 30 ივნისი. გაფიცვა, რომელმაც ხუთ დღეს გასტანა, დასრულდა. ორგანიზაციის განკარგულებით, ყველა მაღაზიები გააღეს. მეეტლეებიც გამოვიდნენ. ხალხი აღელვებულია.

მილანი, 30 ივნისი. ტიტტონი რამდენიმე დღით ეკოლებენში მიდის, იქიდან კი პარიზს გაემგზავრება, სადაც რუვიეს ინახულებს.

ბერლინი, 30 ივნისი. მეფე ქრისტიანს აზრადა ჰქონდა მთელი ივლისი გმუნდენში გაეტარებინა, მაგრამ გუშინ, მოულოდნელად, კოპენჰაგენში წავიდა. ამბობენ, ამ გარემოებას კავშირი აქვს კარლოსის კანდიდატურასთანაო. კარლოსს ნორვეგიის ტახტის მემკვიდრედ ასახელებენ. „მაგდენბურგერ-ცეიტუნგი" იუწყება, პრუსიის უმაღლესმა სტექნიკო სასწავლებლებმა რუსთა და პოლონელ სტუდენტთა მისაღები პირობები გააძნელესო.

ბუქარესტი, 30 ივნისი. შავი-ზღვის ესკადრა, შეკეთებულ „პოტიომკინთანა" ერთად, კონსტანციიდან, გამოვიდა და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ წავიდა.

პეტერბურგი, 30 ივნისი. ოფიციალური. მინისტრთა კომიტეტის 31 მაისის განსაკუთრებულ ჟურნალიდან ამოღებული ცნობები: იმ მოხსენებაში, რომელიც იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა მურავიოვმა იანვარში კომიტეტს წარუდგინა, იგი უჩვენებს, რომ საჭიროა სრულიად გაუქმდეს, ან ძირიანად შეიცვალოს სასოფლო (ვოლოსტნოი) სასამართლო, ერობას უფროსთა და გლეხთა უფროსთა სამოსამართლო უფლებანი გადაეცეს საერთო იუსტიციის ორგანოებს, მაზრებში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სასამართლოები საკუთარის უფლებით აღჭურვილნი, რომლებსაც კავშირი ექმნებათ საერთო სასამართლო ორგანიზაციებთან, და ადმინისტრაციის დასჯის უფლება ჩამოერთვასო. რომ სასამართლო დაწესებულებანი სრულიად თავისუფალნი იყვნენ, მურავიოვის აზრით, საჭიროა სასამართლოს ადგილს ადმინისტრაცია არ იჭერდეს, ანთავისუფლდეს იგი ადმინისტრაციის დამოკიდებულებისაგან და სასამართლოს მოხელეთა ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესდესო. ჩამოთვლილ ზომათა განსახორციელებლად საჭიროა —ამბობს მურავიოვი, რომ სათანადო სამინისტროებმა სახელმწიფო საბჭოს თვისი განცხადებანი წარუდგინონო. მურავიოვის მოხსენებასთან ერთად კომიტეტმა განიხილა ჟურნალები ყოფილის განსაკუთრებულ რჩევისა, რომელიც იკვლევდა სამეურნეო მრეწველობის გასაუმჯობესებელ ზომებსა და საგლეხო სასამართლოს პირობებს. ამ რჩევის 19 წევრს სურდა სასოფლო სასამართლოს მაგიერ ყოფილიყო საერთო სასამართლო, ხოლო 4 წევრი კი ამბობდა, საჭიროა განსაკუთრებული სასოფლო საგლეხო სასამართლო დარჩესო. კომიტეტის კრებაზე იუსტიციის მინისტრმა მანუხინმა მხარი დაუჭირა მურავიოვის მოხსენებას. კომიტეტმა საჭიროდ დაინახა, დაევალოს იუსტიციის მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ, დაუყოვნებლივ შეუდგეს სამპერიო სასამართლოს ნაწილის ერთიანობის შესამუშავებელ საკითხის განხილვას და ისარგებლოს იმ მასალით, რომელიც იუსტიციის სამინისტროსა და სამეურნეო მრეწველობის გასაუმჯობესებლად ყოფილ განსაკუთრებულ რჩევას დაუმზადებია. კომიტეტმა დაადგინა ამ საქმის აღსასრულებლად ხელმწიფეს უმაღლესი ნება-რთვა გამოსთხოვოს.

ლონდონი, 30 ივნისი. მუშათა პარტიის დეპუტატმა გარდამ მოსთხოვა მთავრობას, ჩქარა განიხილოს უსაქმოდ დარჩენილთა შესახებ კანონ-პროექტი, რადგანაც დაგვიანებას, შეიძლება, მუშათა არეულობა მოჰყვესო.

ალექსანდროვსკი, 29 ივნისი. გუშინ, საღამოთი, მდ. დნეპრის ნაპირზე, მუშებმა კრება გამართეს. მონაწილეობას 600 ადგილობრივი და მოსული მუშა იღებდა. პოლიციამ მოსთხოვა, დაიშალენითო, მაგრამ მუშები დაჰპირდნენ, წესიერებას არ დავარღვევთო, და კრება განაგრძეს. მუშებმა ერთი საათი ილაპარაკეს და მერე მშვიდობიანად დაიშალნენ.

გიბრალტარი, 30 ივნისი. ჯავშნიან გემზე „იმპლკაბლზე" ორთქლის საქშავი გასკდა. ექვსი მატროსი მოკვდა, სამი დაიჭრა (რეიტერი).

მოსკოვი, 30 ივნისი. შუვალოვის გვამი ნიკოლაევის სადგურზე მოასვენეს. კუბოს უკან უმაღლესი პირები, საზოგადოება და ჯარი მისდევდა.

ოდესა, 30 ივნისი. გაარჩიეს საქმე 102 კაცისა, რომლებსაც ნავთ-სადგურში ცეცხლის გაჩენის დროს ქურდობა ჰბრალდებოდათ. 79 გაამართლეს, 28-ს თვე-ნახევრით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

პარიზი, 30 ივნისი (ჰავასი). პარიზში ადმირალი მეი და ინგლისის 116 აფიცერი მოვიდნენ. დეპუტატთა პალატაში კონსერვატორმა კოშემ განაცხადა, დღევანდელი საქმის ვითარება გარეშე პოლიტიკის შეცვლას თხოულობსო. გერმანია გაძლიერდა. ამის წინააღმდეგ შეკრა საფრანგეთი კავშირით რუსეთს. მაგრამ იაპონიასთან ომმა ინგლისთან დაახლოვება მოათხოვა. ეს სურდა დელკასეს, ესევე უნდა მოიქცეს ყოველი მინისტრიო.

რიგა, 30 ივნისი. რუსის საზოგადოებამ გუშინ ყოფილ გუბერნატორს პაშკოვს პატივსაცემლად სადილი გაუმართა. ბევრი ადრესები მიართვა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

30 ივნისი

ლონდონი, 30 ივნისი. იმ ხმებმა, რომ რუსეთი თავის რწმუნებულად ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად ვიტტეს ნიშნავსო, აქ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. „დეილი ტელეგრაფი" ამბობს, ამ საქმისთვის სწორეთ ისეთი კაცი უნდა, როგორიც ვიტტე არისო. ვიტტემ იცის, რომ ზავის ჩამოგდება აუცილებლად საჭიროა, რადგანაც რუსეთის სამხედრო ძლიერების შემცირებამ ევროპაში ცვლილება მოახდინა, როდესაც რწმუნებულები შეიყრებიან, მთელი ქვეყანა გაკვირვებაში მოვა იმ მოთხოვნილებებით, რომლებსაც იაპონია წამოაყენებსო.

პეტერბურგი, 29 ივნისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალის ლინევიჩისა, 28 ივნისის თარიღით: „ხაილუნჩენის რაიონში, მდ. ხაშიხეს მარცხნივ მთებიდან, ჩვენს ჯარს მტერმა სროლა აუტეხა. რამდენიმე ხნის შემდეგ იაპონელებმა სამხრეთით დაიწიეს. თუმცა გარემოება ხელს არ გვიწყობდა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მაინც განაგრძო სიარული იმ ადგილამდი, სადამდისაც გზა მიდიოდა; მერე კი ისევ უკან გამობრუნდა და ჩრდილოეთისაკენ დაიწია.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სახალინი. იაპონელთა გამოანგარიშებით, კორსაკოვის სიმაგრეში სახალინზე, სადაც იაპონელებმა თავიანთი ჯარი გადმოსხეს, 2 ათასი რუსი ყოფილა, ალექსანდროვის სიმაგრეში კი 5 ათასამდის. გაზეთები აცხადებენ, სახალინზე იაპონელებმა მთელი დივიზია გადმოსხესო, ახლად მოწვეულ ჯარის კაცთაგან შემდგარი. ამ ჯარში მხოლოდ რამოდენიმე ნაწილია გაწვრთნილი და გამოცდილი ომიანობაში, ამისდა მიუხედავად, მათ მაინც ჩინებულად შეასრულეს თავიანთი საქმე და მთელი კუნძული ხელში ჩაიგდეს (რ. ს.).

ზავის პირობები. „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტს ერთ ინგლისელთან ულაპარაკნია ზავის მოსალოდნელ პირობების შესახებ. „იაპონიამ კარგად იცის ყოველიფერი, რაც აქამდე რუსეთში ხდებაო,—უთქვამს ინგლისელს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ახლანდელ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ის რუსები, რომელთაც სჯეროდათ, ომიანობა იაპონიას დაასუსტებსო, იაპონიას ფული გამოელევაო და თვითონ ითხოვს ზავის ჩამოგდებასო, ახლა ხომ აშკარად ხედავენ თავიანთ შეცდომას,—იაპონია კი არა, რუსეთი დაასუსტა ომიანობამ. ახლა მთელმა ქვეყანამ გაიგო იაპონელების საფინანსო ძლიერებაო. თვით გერმანელები ომის დასაწყისში თუ ეჭვის თვალით უყურებდნენ იაპონიას, ახლა თვითონ ეხვეწებიან იაპონიის მთავრობას,—ჩვენგან ისესხეთ ფულიო. რუსების შეცდომა ის არის, რომ მოწინააღმდეგის ძალა დროზე ვერ შეიგნეს, გენერლების მაღალ-ფარდოვან ლაპარაკს ყურს უგდებდნენ და სჯეროდათ მათი დაპირება—გავიმარჯვებთო. ახლა ყველამ დაინახა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ამ დაპირების შესრულება და ამიტომ დრო არის შეიგნოს ადამიანმა, რომ ზავის ჩამოგდება რუსეთისათვის ნამდვილი ხსნა იქნება (რ. სლ.).

პორტ-არტურის დამცველები. ფეოდოსიაში ინგლისის გემით ჩამოსულა რამოდენიმე პორტ-არტურელი. ყველა საცოდავი სანახავია თურმე. (ნ. ქ.).

ინგლისი და იაპონია. გაზ. „ტაიმსი" ამტკიცებს,—იაპონიამ ინგლისის წყალობით გაიმარჯვაო რუსეთზე. გაზეთს აღნიშნული აქვს, რა და რა გემი აუშენებია იაპონიას ინგლისში: 1) 1875 წ. ორი კორვეტი და ერთი ჯავშნიანი გემი; 2) ამის შემდეგ გემების ამშენებელი ელგარი წავიდა იაპონიაში ფლოტის ასაშენებლად საერთო გეგმის შედგენისათვის. ამავე დროს ჩილისთვის შეკვეთილი ჯავშნიანი გემი იაპონელებმა იყიდეს; 3) 1884 წ. იაპონიამ შეუკვეთა ინგლისში ორი კრეისერი და ერთი ჯავშნიანიც; 4) ამის შემდეგ იაპონელებმა რამდენიმე გემი საფრანგეთში იყიდეს მაგრამ 1891 წელს შემდეგ კიდევ შეუკვეთეს გემები: „იოშინო", „ფუჯი" და „იაშიმა"; 5) ამის შემდეგ იაპონიამ შეუკვეთა კიდევ 4 ჯავშნიანი და 4 კრეისერი. დანარჩენი რამოდენიმე უმთავრესი გემიც ინგლისელთა ხელმძღვანელობით არის აშენებული. გემებზე ყველა ზარბაზანი ინგლისიდან მიტანილია. ცუსიმას ბრძოლაში იაპონიის ფლოტს 357 ზარბაზანი ჰქონია, ყველა ინგლისში ნაყიდი. ამნაირად ემზადებოდა საომრად იაპონია. მას ხელს უწყობდა ერთის მხრივ ინგლისი და მეორეს მხრივ კი პლევე, რომელიც აჩუმებდა ყველას, ვინც გაბედავდა და დაიყვირებდა: „გაფრთხილდითო". („სლოვო").

ახალი ამბავი

დღეს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის **კნიაჟნა სოფიო ირაკლის ასულის ციციშვილის** სულის მოსახსენებლად.

კნ. სოფიო ციციშვილი მუდმივი თანამშრომელი იყო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა"; მისი თარგმანები იბეჭდებოდა აგრეთვე „ივერია"-სა და „ცნობის ფურცელშიაც". მუყაითი და ერთგული მუშაკი, იგი თავისს ტოლ ქალებში სამაგალითოდ ჩაითვლებოდა და მისი უდროოდ დაკარგვა, სწორედ რომ საგრძნობ დანაკლისია. განსვენებული სოფიო მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სახალხო წარმოდგენებშიაც. საზოგადოდ, გულწრფელი მოტრფიალე იყო ჩვენის ხალხის წარმატებისა და, შეძლებისა გვარად, ძალ-ღონეს არ იშურებდა მისდა სასამსახუროდ.

ხელმოკლეობამ და განუწყვეტელმა შრომამ ადრე დააავადა საბრალო ქალი და 18 ივლისს გარდაიცვალა სოფ. კეხიჯვარში.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, 24 ივნისს **სად. ხაშურსა და ყვირილის მოსამსახურენი გაიფიცნენ.** ხაშურში, 24 ივნისს, სახალხო მატარებელს ვიღაცეებმა რევოლვერები ესროლეს. მატარებელზე მყოფმა რაზმმაც სროლით უპასუხა, მაგრამ უბედურობა არ მომხდარა. სად. სუმბათოვოში 23 ივნისს ვიღამაც მატარებელს თოფი ესროლა და ფანჯარასთან მდგომი კონდუქტორი მოჰკლა. სამტრედიაში 24 ივნისს საფოსტო და საბარგო მატარებელი რელსებიდან გადავარდნილა, რადგანაც ვიღასაც რელსები აუყრია.

✦ ხუთშაბათს, 30 ივნისს, ვერაზე, ფასანაურის ქუჩაზე, ღამის 12 საათზე, **ვიღაც უცნობს მოუკლავს ერთი რუსი.** მეორე დღეს დილით გვამი იპოვეს ფანჯარაზე თავდადებული, ტყვია თავში აქვს მოხვედრილი. როგორც გამოირკვა, მოკლულს ფანჯარასთან სძინებია და მძინარე მოუკლავთ.

✦ როგორც გორის მაზრიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში მოუკლავთ სოფელ ფხვენისის მემამულე **თ-დი ალექსანდრე ამილახვარი** და აზნაური **უთნელიშვილი.**

✦ **კავკასიის ნამესტნიკს საჭიროდ უცვნია,** რომ ტფილისის გუბერნიაში გლეხთა მოძრაობის დროს დარბეულ თავადთა ზარალი აღინუსხოს. ამისთვის განსაკუთრებული კომისიები უნდა დაინიშნოს, თავად-აზნაურთა სამაზრო მარშლის თავმჯდომარეობით. კომისიაში იქმნებიან მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი, გადასახადთა ინსპექტორი, საპატიო მოსამართლენი და სოფლის საზოგადოებისაგან არჩეული არა ნაკლებ ორის კეთილსინდისიერის კაცისა. იქ, სადაც თავად-აზნაურთა წარმომადგენლობა არ არსებობს, კომისიის თავმჯდომარედ იქმნება მაზრის უფროსი.

✦ **უწმიდესი სინოდი სთხოვს** საქართველოს ექსარხოსს, აცნობოს, რომელ მონასტრებს შეუძლიან დახმარება აღმოუჩინოს ამ ომში მოკლულ ოფიცერთა და ჯარისკაცთა ქვრივ-ობლებს.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ყველა მაზრის უფროსებს **მოსთხოვა ცნობები** სახნავ-სათიბ მიწებისა და შინაურ საქონლის რაოდენობის შესახებ.

✦ ქალაქის სამღვდელოების ბლ. მღვ. **სოლომონ შოშიაშვილმა ექსარხოსს აცნობა,** რადგან სამღვდელოების შეურაცხყოფის მიზეზები უკვე საკმაოდ გამოირკვა, ბლაღოჩინობის თანამდებობის შესრულებას უკვე შევუდექიო.

✦ ხუთშაბათს, 30 ივნისს, გორის მაზრიდან ტფილისში დაბრუნდა **ეპისკოპოზი კირიონ,** რომელიც ხვალ, 3 ივნისს, სამკურნალოდ კისლოვოდსკს მიემგზავრება.

✦ საყმაწვილო ჟურნალ **„ნაკადულის" რედაქტორად,** ქ-ნ ზურაბიშვილის ნაცვლად, დამტკიცებულ იქმნა ქ-ნი **მ. ი. დემურიასი.**

✦ 19 ივნისს „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" სასარგებლოდ გამართული **ბაზარ-სეირნობის შემოსავალი** იყო მხოლოდ 900 მან. (აქედან წმინდა შემოსავალი 400 მან.). წინა წლებში ბაზრის წმინდა შემოსავალი უდრიდა 1200—1500 მანათს.

✦ ქალაქის საბჭოს **ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა.** თავის მოხსენებაში თამამშევი თხოულობს ქალაქ ტფილისის ცალკე, ერთეულ ნაწილად აღიარებას, დვორნიკების ინსტიტუტის სრულიად გაუქმებას, პოლიციის რეორგანიზაციას, ქალაქის თვითმართველობის უფლებების გაფართოვებას და მას პოლიციის ზედამხედველობიდან განთავისუფლებას. თვითმართველობისათ—სწერს ხმოსანი თამამშევი—უნდა მიენიჭოს ყველა უფლებები, გარდა დისციპლინარულ და დამცველ უფლებებისა, რომლიც უნდა დაეკისროს გრადონაჩალნიკს. გრადონაჩალნიკთან უნდა დაარსებულ იქმნას ქალაქის საადმინისტრაციო საბჭო, სადაც, გარდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა, უნდა იყვნენ ქალაქის წარმომადგენელნიც და ეს წარმომადგენელნი უნდა შეადგენდნენ საბჭოს ნახევარზე მეტს. ქალაქსვე უნდა გადაეცეს საადრესო სტოლი, უნდა დაარსდეს ქუჩის მცველთა არტელი და ქუჩების და მოედნების უსუფთაობის გამზიდველთა ცხენის ურმები. ამ საქმის საორგანიზაციოდ საჭირო თანხის ერთი მესამედი უნდა სახელმწიფოს დაეკისროს, დანარჩენი ხარჯი კი ქალაქის მცხოვრებთ. ბ-ნი თამამშევი სთხოვს საბჭოს: დაჰყოს ქალაქი 12 საპოლიციო უბნად და პოლიცმეისტერის სამმართველო მოსპოს. იმ ხარჯის ნახევარი, რომელიც პოლიცმეისტერის, გრადონაჩალნიკის და საპოლიციო კანცელარიებზე იხარჯება, გადასდოს ქალაქის გამგეობასთან საპოლიციო განყოფილების დასაარსებლად, რომლიც ოთხის დარგის პოლიციელთაგან უნდა შესდგეს. თამამშევის ანგარიშით, ეს საქმე 277,200 მანათი დაჯდება. ცხენოსან დარაჯთა შენახვა დაჯდება 58,280 მან. საიდუმლო პოლიციის აგენტთა—10,300 მ. და სასკოლო-სათადარიგო—11,400 მან. ქუჩების და მოედნების მოვლა-დაწმენდა—204,160 მან. სულ მთელი ხარჯი კი დაჯდება 561,340 მანათი. ამჟამად, თამამშევის გამოანგარიშებით, პოლიციაზე, მეეზოვეებზე, ქუჩების მორწყვა-გასუფთავებაზე—იხარჯება 1.150,000 მ. ამ საკითხის ყოველ მხრივ განსახილველად თამამშევი სთხოვს საბჭოს, არჩეულ იქმნას კომისია, რომელსაც დაევალოს განხილვა მის-მიერ აძრულ საკითხისა.

✦ **ბრმათა სამზრუნველოს** კავკასიის განყოფილებას წელს **ყულაბებით შემოსვლია** სულ 54 მან. 59 კაპ. სამზრუნველო გულწრფელს მადლობას უძღვნის, როგორც შემომწირველთ, ისე იმათაც, რომელთაც ყულაბები ჰქონდათ მიბარებული მსურველთაგან შემოწირულებათა შესაგროვებლად.

✦ ინჟენრის ქუჩაზე, 27 ივნისს, დავით სერგეის ძე აივაზოვის სახლიდან ვიღაც უცნობ პირებს **მოუპარავთ ოქროს საათი,** 150 მანათად ღირებული, 2 ბეჭედი 2 რევოლვერი, 9 ვერცხლის კოვზი და 249 მან. ფულად.

სადღეისო

მუნჯის დღიურიდან.

...მუნჯი ვარ! მინდა ავიდგა ენა, მინდა ჩემი მწუხარება გამოვთქვა, ბრაზმორეულმა მინდა ბოროტებას თავისი სახელი ვუწოდო და ხმამაღლა გულის წარმტაცი სიმღერა დავძახო...

...მაგრამ სად შემიძლიან .. მუნჯი ვარ, გრძნობა უსიტყვოდ მიკვდება გულში და მხოლოდ ხანდახან გულმოსული შევყურებ იმას, ვინც დამამუნჯა, მეტყველი ენა პირიდან მომგლიჯა და... ზედ ხარხარობს...

თავის გამარჯვებას დღესასწაულობს...

ჩემის ოჯახის მტერმა გამოგზავნა ჩემსას, ჩემი დამუნჯება უბრძანა...

სამსახურისთვის საჩუქარი დაჰპირდა...

იცოდა, რომ საჩუქრისთვის ყველაფერს იკადრებდა, ყველაფერს იზამდა,—თავის ძმას, გულითად მეგობარს პირიდან ენას მოჰგლეჯდა...

...მუნჯად აქცევდა!!.

—

აღსრულდა!

მოვიდა, საჩუქრის იმედით მაგრად მომკიდა ხელი, წამაქცია და გულგრილად, შეუბრალებლად წამგლიჯა მეტყველი ენა...

ფელეტონი

ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები

(სახელმწიფო წესწყობილება)

ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები დღეს მთელს დედამიწაზე ფრიად განვითარებულ, ძლიერ და განათლებულ ქვეყანად ითვლება. მის განათლება-განვითარებას სავსებით შეეფერება ის განვითარებული სახელმწიფოს წესწყობილებაც, რომელიც იქ, დიდი ხანია, დამკვიდრებულია. იშვიათია ისეთი ქვეყნები, სადაც ისე ფართოდ იყოს მოწყობილი ადგილობრივი თვითმართველობა და ისე მტკიცედ აღიარებული ხალხის ბატონობა, როგორც არის იქ. ერთის ოკეანედან მეორემდის გადაჭიმული, სხვადასხვა ტომისა და სარწმუნოების ხალხით დასახლებული ქვეყანა დაყოფილია 46 ნაწილად—შტატად,—ესე იგი, ავტონომიურ რესპუბლიკად, და ეს ავტონომიური, თანასწორის უფლებებით აღჭურვილი რესპუბლიკები მტკიცედ არიან ერთმანერთთან დაკავშირებულნი და შეადგენენ ერთს დიდ ფედერატიულ რესპუბლიკას.

შინაურ ცხოვრებაში ავტონომიურად მოწყობილი დემოკრატიული რესპუბლიკები და ამ რესპუბლიკების ფედერაცია,—აი, წესწყობილება, რომელიც განახორციელეს ამერიკელებმა და რომელიც თანამედროვე მეცნიერებას მიაჩნია საუკეთესო ფორმად, რომ ხალხი ჩქარის ნაბიჯით წავიდეს განვითარების გზაზე და ადვილად განახორციელოს ის იდეალები, რომელიც მშრომელმა ხალხმა თავის დროშაზე გარკვეულად დაისახა.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ წესწყობილების გაცნობა საინტერესო უნდა იყოს ჩვენის მკითხველისათვის და ამიტომ გვინდა ცოტა რამ ვუამბოთ მას იმ შორეულ სახელმწიფოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

მეთვრამეტე საუკუნეში ჩრდილოეთ-ამერიკა ინგლისის ახალშენს (კოლონიას) წარმოადგენდა. ამ ახალშენს განაგებდა გუბერნატორი, რომელსაც ნიშნავდა ინგლისი, და ეს გუბერნატორი, ვითარცა ინგლისის წარმომადგენელი, დიდის უფლებებით იყო აღჭურვილი. თვითონ ამერიკას კი ინგლისის პარლამენტში თავისი წარმომადგენელი არ ჰყავდა, რომ მისი ინტერესები დაეცვა, და ამიტომ პარლამენტი ხშირად ახდენდა ისეთ განკარგულებას, რომელიც საზარალო და საწყენი იყო ამერიკისთვის. მართალია, ამერიკამ თავიდანვე მოიპოვა უფლება, რომ მოეწვია ხოლმე საკუთარი კრებები კანონმდებლობითის უფლებებით, მაგრამ ინგლისის პარლამენტი ამ კრებებსაც ფრთებს აკვეცდა და განვითარებას უშლიდა.

ასეთი მდგომარეობა ძნელი ასატანი შეიქმნა ამერიკის მცხოვრებთათვის, მით უფრო, რომ ეს ხალხი იყო მხნე, გამბედავი, შრომის მოყვარე და ყოველისავე წარმატების აუცილებელ პირობის—თავისუფლების—მაღმერთებელი. იმათი მამები ტყუილად არ გამოექცნენ მაშინდელ ინგლისის დახშულსა და ძალმომრეობაზე აშენებულ ცხოვრებას,—ისინი ეძიებდნენ თავისუფლებას და, მართლაც, ამერიკის თვალუწვდენელ მინდვრებზე ჰპოვეს ეს თავისუფლება. აქ მათ ფრთა გაშალეს, გამრავლდნენ, შეუდგნენ თავის ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობას, გააჩაღეს მეურნეობა და მრეწველობა. და, რა თქმა უნდა, თანდათან უფრო გრძნობდნენ იმის საჭიროებას, რომ ამერიკაში თვითონ ამერიკელები უნდა ყოფილიყვნენ ქვეყნის გამგენი. ინგლისი კი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ამერიკა მაგრად დაეჭირა ხელში, უწევდა პატრონობას, აწვდიდა საქონელს, უგზავნიდა გუბერნატორებს და უწერდა ახალ-ახალ განკარგულებებს. ამერიკელები თხულობდნენ მეტ უფლებებს და, მართალია, განხეთქილება მოსალოდნელი იყო, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, აჯანყების წინაც, ჯერ კიდევ თვით ამერიკელები არ ჰფიქრობდნენ, თუ მათ აჯანყებას ინგლისისაგან სრული განშორება და საკუთარ სახელმწიფოს დაარსება მოჰყვებოდა შედეგად.

ინგლისის მეფის გეორგ მე-III და პარლამენტის უტაქტო მოქმედებამ განშორების ხანა ძლიერ დააჩქარა.

ინგლისმა თავის ახალშენში ახალი გადასახადი შემოიღო. ამერიკელებმა სამართლიანად განაცხადეს, რომ გადასახადი მხოლოდ ჩვენის თანხმობით შეიძლება შემოღებულ იქმნასო და ამასთან, რაკი გადასახადი გვაქვს დაკისრებული, ინგლისის პარლამენტში შესაფერი უფლება და ხმაც უნდა გვქონდესო. ინგლისის მეფემ და პარლამენტმა ყური არ ათხოვეს ამას და ძალით მოინდომეს თავის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

სხვათა შორის, ბაჟი დაადეს ჩაის, რომელიც ინგლისიდან მიჰქონდათ ამერიკაში. ამერიკელებმა ამ ნაწარმოების მიღებაზე უარი განაცხადეს. მაშინ ჩაი ძალით იქნა შეტანილი ქალაქ ბოსტონში. მაგრამ მცხოვრებლებმა იქაც ძალით უპასუხეს და ჩაი ზღვაში გადაჰყარეს.

ინგლისი გაჯავრდა და მასაჩუზეტის შტატის (სადაც ქ. ბოსტონი მდებარეობს) დასჯა გადასწყვიტა. მასაჩუზეტს ახალშენის ყველა შტატები მიემხრნენ და სამართლიანი მოპყრობა მოითხოვეს. ინგლისშიც გაგზავნეს მოსალაპარაკებლად მოქალაქე პენკი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ინგლისის მეფემ ამერიკელები აჯანყებულებად გამოაცხადა და ჯარები გაგზავნა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად..

დაიწყო ინგლის-ამერიკის ომი.

ბრძოლა შვიდს წელიწადს გაგრძელდა და შედეგად მოჰყვა ამერიკის სრული ჩამოშორება და ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადება, რაც 1783 წელს ოფიციალურად იქმნა აღიარებული.

თვითონ ამერიკამ კი ეს საგანი უფრო ადრე 1776 წელს გადაწყვიტა. ამ წელს შესდგა დამფუძნებელი კრება, რომელმაც განშორების და განთავისუფლების დეკლარაცია გამოაცხადა

ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩაბარდა კონგრესს. მაგრამ კონგრესს ძალიან ცოტა საშუალება ჰქონდა თავის განკარგულებაში, რომ წესიერება დაემყარებინა.

ყოველივე შტატი თვითონ განაგებდა თავის საქმეებს და კონგრესს არ ჰქონდა ნება ჩარეოდა იმათ საქმეებში. ხანგრძლივმა ომმაც არივ-დარია ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და ბევრი ცუდი მხარე გამოააშკარავა. საჭირო შეიქნა ხელ-ახლა მოეწვიათ დამფუძნებელი კრება და შეემუშავებინათ ახალი კონსტიტუცია (ე. ი. წესი მართვა-გამგეობისა).

მართლაც, კრება მოწვეულ იქმნა ქ. ფილადელფიაში 1789 წელს და აქ მიღებულ იქმნა მხედველობაში ცალკე შტატების უკვე არსებული და შემუშავებული წეს-წყობილება, აგრეთვე ადგილობრივი პირობები და ხალხის ძირითადი ინტერესები, და ყველა ამის მიხედვით დაადგინეს შეერთებულ შტატების კონსტიტუცია. 1789 წლის კონსტიტუციას შემდეგში ჩაემატა მხოლოდ 15 მუხლი და დანარჩენი კი დღემდის თითქმის უცვლელად არის შენახული.

ამ კონსტიტუციის ძალით, სამუდამოდ დაკანონებულ იქმნა რესპუბლიკური წესი, როგორც ცალკე შტატების მართვა-გამგეობაში, ისე მთელ შეერთებულ სახელმწიფოს წეს-წყობილებაში.

მთელის სახელმწიფოს—ფედერაციის—საქმეებზე ზრუნავს და ქვეყანას განაგებს: 1. კონგრესი, რომელიც შესდგება სენატისა და დეპუტატთა საბჭოსაგან, 2, შეერთებულ შტატების პრეზიდენტი და 3, ფედერალური სასამართლოები.

ცალკე შტატების წესწყობილებაც იმ ყალიბზეა ჩამოსხმული, როგორც ფედერაციის მართვა-გამგეობა.

ამერიკის შტატების საფედერაციო კონსტიტუციაში აღიარებულია ის წესები და კანონები, რომელიც უნდა შეასრულონ და დაიცვან ფედერაციის ანუ კავშირის მოხელეებმა, და იქვე ჩამოთვლილია ის უფლებები, რომელიც მინიჭებული აქვს კავშირის ყველა მოქალაქეს. ამ უფლებათაგან უმთავრესი არის შემდეგი:

კონგრესს ნება არა აქვს გამოსცეს კანონი რაიმე სარწმუნოების შემოღებისა ან აკრძალვის შესახებ. სრული სარწმუნოებრივი თავისუფლება არის აღიარებული და აკრძალულია, რომ ვინმე ჰკითხოს მოხელეს სამსახურში შესვლის წინ ან მერმე,—რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის. ყოველივე სარწმუნოებრივი შოვინიზმი სასტიკად იდევნება. ასეა საქმე დაყენებული კერძოდ ყველა შტატებში. ამერიკელებს არ უნდათ, რომ რომელიმე სარწმუნოება სახელმწიფოს სარწმუნოებად იყოს აღიარებული და მას რაიმე უპირატესობა ჰქონდეს. აქ ყველას სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული—ეკუთვნოდეს იმ სარწმუნოებას, რომელიც მას სურს, თავის სურვილით შესცვალოს, მიიღოს ახალი ან სრულებით უარჰყოს.

ვერავინ გაბედავს ძალა დაატანოს სხვის რწმენას და ყველას ნება აქვს თავისი რწმენა გამოხატოს ისე, როგორც მას უნდა. სარწმუნოების საქმე—კერძო საქმეა და თვით მორწმუნეზედ არის დამოკიდებული და მთავრობას ნება არა აქვს, რითიმე აქ ჩაერიოს. არა თუ არ შეუძლიან აკრძალოს რამე სარწმუნოების სფერაში, არამედ იმის ნებაც არა აქვს, რომ მფარველობა გაუწიოს რომელსამე სარწმუნოებას ან სარწმუნოებრივს დაწესებულებას. ამიტომ სახელმწიფო არც არაფერს ხარჯავს ამ საქმეზე. ვინც საჭიროებს სარწმუნოებრივს დაწესებულებაში და სარგებლობს იმით, იგივე ეწევა ყოველსავე ხარჯს. მხოლოდ სახელმწიფოს სასამართლოს ნება აქვს და ვალდებულია განიხილოს სარწმუნოებრივ ნიადაგზე მომხდარი დანაშაულობანი საერთო წესით.

მიუხედავად ასეთის წესის და კანონებისა, რომელიც, აგერ 120 წელიწადზე მეტია, რაც ამერიკაში დამყარებულია, იქ სარწმუნოებას ადამიანის კერძო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ეკლესიასა და სამღვდელო პირთ დიდის პატივით ეპყრობიან.

ჩვენში ახლა ცდილობენ რწმენის თავისუფლება აღიარონ და იქ კი ეს პრინციპი თავიდანვე იქმნა აღიარებული და კანონმდებლობაში მხოლოდ ის კანონებია შეტანილი, თუ როგორ სასტიკად დაისჯება ყველა, ვინც კი რწმენის და სინიდისის თავისუფლებას შეეხება და შეზღუდვას განიზრახავს.

ამ ნაირივე კანონები არის სიტყვისა და წერის თავისუფლების შესახებ. წარმოდგენაც შეუძლებელია, რომ ვინმემ გაბედოს ამერიკაში სიტყვისა და წერის შეზღუდვა.

იქ, სადაც დამყარებულია ხალხის მთავრობა, სადაც ხალხმა თვალ-ყური უნდა ადევნოს მის-მიერ ამორჩეულ მოხელეებს, სადაც მან ყველაფერი უნდა იცოდეს, იქ არც რაიმე „სახელმწიფოს საიდუმლოება" უნდა არსებობდეს და ამიტომ თავისუფალი პრესსა და თავისუფლად წარმოთქმული სიტყვა ყველგან უდიდეს ძალას შეა-

თან თავის გამომგზავნ ბატონისაკენ იყურებოდა, მოწონებას ელოდა, საჩუქარს ითხოვდა!..

თავის ერთგულ სამსახურის ნიშნად ჩემს პირში მოგლეჯილი ენაც წარადგინა ბატონთან, თავს იქებდა, ერთგულ სამსახურით ამაყობდა...

და როდესაც ჩემიანები შორიდან წყევლას უგზავნიდნენ მას, როდესაც მეც, ახლად დამუნჯებული, გულში ვიკლავდი სიბრაზეს,—ის, გამცემ რუქაიასავით, ბატონის წინ იჩოქებდა და შესძახოდა:

— შენი მონა ვარ, მიბრძანე, ავასრულოო!

და მისი ბატონი მის სამსახურით ტკბებოდა, ელერსებოდა და ხანდახან, წყალობის ნიშნად, თავის ნასუფრალს უყრიდა...

—

დრო-გადიოდა...

ყოველ დღე მოდიოდა ჩემთან ბატონის ერთგული მონა, პირს მისინჯავდა და, თუ შემამჩნევდა, რომ პირში იზრდებოდა მეტყველი ენა, შეუბრალებლივ მგლეჯდა და ჩემი სისხლით შეღებილი ხორცი, გაწეულ სამსახურის ნიშნად, მიჰქონდა ბატონთან.

ყოველ-დღე იგივე ტანჯვა, დაუსრულებელი ტანჯვა...

ყოველ-დღე ეს შეუბრალებელი ძალმომრეობა!

ხმის ამოღება არ შემიძლია! გაბრაზებული ჯავრის ამოყრასაც ვერ ვახერხებ. ხელფეხ შებოჭილი, სხვის ხელში უსიტყვოდ მონად ქცეული, მხოლოდ ჩემთვის, გუნებაში თუ მოვახერხებ ჩემს მწვალებლის საქციელზე შესაფერ მსჯავრის დადებას და მხოლოდ ჩუმად, ჩემ დღიურში თუ ავწერ ამ აუტანელ მდგომარეობას...

და, აი, ეს დღიურიც ამისთვის დავიწყე...

მუნჯის დღიური!..

—

ჩემს გარშემო სდუღს ცხოვრება, ზღვასავით ღელავს, ტალღებს ისვრის... ყოველ დღე იცვლება მისი ზედაპირი, ყოველ დღე ახალი ამბავი მოდის...

იქ, სადაც უწინ მყუდროება სუფევდა, სადაც დამპალ წყალში მხოლოდ უსაქმურ ბაყაყების ყიყინი ისმოდა, ახლა სიომ დაჰბერა ძლიერად, წყლის ზედაპირზე გადაკრული ჰრკე გადაჰფანტა... და გაჩაღდა იქაურობა...

სადღაა უმოქმედობა?.. დახედეთ,—ტბორეში იბრძვიან ყველანი არსებობისათვის, იბრძვიან უკეთეს მომავლისათვის, ბაყაყთა ბუდე დანგრეულია, ინგრევა ძველი, შემოდის ახალი ცხოვრება...

განახლდა ქვეყანა!..

მაგრამ ჯერ კიდევ არ იტეხავენ გულს ბაყაყველები, უნდათ შეირჩინონ თავისი ბუდე... ბრძოლაა...

მე კი დამუნჯებული ვარ, ხმას ვერ ვიღებ და მხოლოდ გაბრაზებული ვარ ჩემისავე უმოქმედობით!.

მუნჯი ვარ!

რას გებრალებით? არა, თქვენი შებრალება არაა საჭირო!

წაქცეული მოჭიდავე თავის დამარცხებაში თვითონვე დამნაშავეა... ჩემი ბრალია, თუ ჩემის ოჯახის მტერმა გაიმარჯვა ჩემზე და ჩემი დამუნჯება თუ მოახერხა...

ჩემი ბრალია, რომ უსიტყვოდ მის ბატონობას დავემორჩილე, ჩემ ბრაზსა და გულმოსულობას უსიტყვოდვე ვიკლავდი გულში, როდესაც ბატონისაგან გამოგზავნილმა კაცმა მომგლიჯა ენა...

რად ვიტანდი ძალ-მომრეობას, რად ვიყავი გაჩუმებული, რად არ ვიხმარე ძალა და ბრძოლით არ შევირჩინე მეტყველი ენა... თავისუფლება?

და ახლა რაღა უნდა შემიბრალოთ?

არა, შებრალება არაა საჭირო...

შებრალება—დამცირებაა, დამცირება კი მტერს გაახარებს!

მტკივა! ისევ მოვიდა დარაჯი, გამსინჯა და ენის ძირი ამომგლიჯა!..

თან შემომძახა: ,,გაჩუმდი, თორემ ბატონს ვეტყვი და ისიც გიჩვენებს სეირსო...

,,მოგისპობსო სიცოცხლეს...

,,რა ვუყოთ, რომ გარშემო ღელავს ახალი ცხოვრება, რა ვუყოთ, რომ გამოფხიზლებული საზოგადოება შემოგცქერის პირში და სიტყვას მოელის შენგან; რა ვუყოთ, რომ ყოველი ადამიანი ვალდებულია ამნაირ დროში ილაპარაკოს, რომ გაჩუმება ყველას ბოროტ-მოქმედებად ჩაეთვლება.

,,გაჩუმდი მაინც!

,,იყავი მუნჯი, მხოლოდ შეგიძლია უაზროდ ლუღლუღი, ბავშვივით მღერა... გარკვეული ხმა არ ამოიღო... დამუნჯდი!''

დავმუნჯდი კიდეც! მუნჯი ვარ, მართალია,—მაგრამ რამდენ ხანს კიდევ ვიქნები მუნჯად? რამდენ ხანს კიდევ უნდა გავჩუმდე და ხმა ჩავიწყვიტო, როდესაც ცხოვრება მოითხოვს ხმის ამოღებას?!.

როდის-და...

უცხო.

«მოსკოვსკია ვედომოსტი» რუსეთის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ

„პრესსის თავისუფლება, სვინდისის თავისუფლება, გაფიცვის თავისუფლება, კრებების თავისუფლება“,—აი, ამას მოითხოვენ მთავრობისაგან „ინტელიგენტები“ მას შემდეგ, რაც მინისტრმა სვიატოპოლკ-მირსკიმ გამოაცხადა „ნდობა“ და მხარი დაუჭირა „ინტელიგენციის“ მისწრაფებასაც.

„ამჟამად რას ვხედავთ?

,,ვხედავთ იმას, რაც იმთავითვე ვიცოდით კარგად, ვხედავთ იმას, რომ ყველა ეს ,,თავისუფლება'' საჭირო იყო არა როგორც **მიზანი**, არამედ როგორც **საშუალება** სხვა მიზნისათვის,—სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლისთვის, რევოლუციისთვის.

„ამ ერთ და უმთავრეს მიზანს ემსახურება ყველა საშუალება, ყველა მოხსენებული ,,თავისუფლება''. ,,პრესსის თავისუფლება'' სარევოლუციო პროპაგანდის თავისუფლებად შეიქნა; „სვინდისის თავისუფლების“ საშუალებით მართლმადიდებელი რუსი ხალხი ზნეობრივად და პოლიტიკურად იცვლება; „გაფიცვის თავისუფლების'' წყალობით—თავისუფლად აბრაზებენ მუშა-ხალხს, რომელიც რევოლუციის მოტრფიალე ,,ინტელიგენტებს'' თავიანთ გვარდიად მიჩნეული ჰყავთ; ,,კრებების თავისუფლება''—რევოლუციის მოწყობის თავისუფლებად შეიქმნა. ყველა ერთად ამნაირად რევოლუციის მომზადების თავისუფლება ყოფილა ნამდვილად.

„სწორედ ამნაირად მომზადდა საფრანგეთში თებერვლის რევოლუცია, რომელიც ყველასთვის და თვით მეფე ლუდოვიკო-ფილიპესთვის და მის პირველ მინისტრის გიზოსთვის,—სრულებით მოულოდნელი გამოდგა.

,,საფრანგეთის სარევოლუციო დასების მეთაურებმა სხვადასხვა საშუალება გამოსცადეს რევოლუციისთვის ხალხისა და საზოგადოების მოსამზადებლად. ყველაზე უფრო შესაფერი და გამოსადეგი შეიქმნა კრებები და ბანკეტები. საფრანგეთის ყველა კუთხეში აწყობდნენ ბანკეტებს. ამ ბანკეტებში საზოგადოების სხვადასხვა კლასის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას: მოქალაქეები, მუშები, გლეხები,—და ბანკეტებზე ორატორები, ე. წ., ,,გზის მაჩვენებელ'' სიტყვებს ამბობდნენ თამამად.

,,ეს იყო სულ უბრალო სიტყვები, ეს სიტყვები არ გავდა იმ სიტყვებს, რომელსაც ამჟამად აშკარად ამბობენ რუსეთში,—მთავრობაც ამ სიტყვების საწინააღმდეგოდ არავითარ ზომების მიღებას არ სცნობდა საჭიროდ. ამ სიტყვებში მხოლოდ სისტემატიურად ამტკიცებდნენ, რომ არსებული წყობილება არ ვარგა, რომ მთავრობას საქმის რიგიანი გაძღოლა არ შეუძლია; მთავრობის შეცდომებს და ბოროტ-მოქმედებასაც ხატავდნენ, ამტკიცებდნენ, რომ ეს შეცდომები უნდა ,,გასწორდეს'', რომ ეს შეცდომები უნდა გაასწოროს თვით ხალხმა, საზოგადოებამ.

„ამ კრებებისა, ბანკეტებისა და უბრალო სიტყვების შედეგი საოცარი გამოდგა: საზოგადოება და ხალხი სისტემატიურად მომზადდა. ხალხში მოიკიდა ფეხი იმ აზრმა, რომ საჭიროა მთავრობისაგან ჩადენილ შეცდომებისა და ბოროტ-მოქმედების „შესწორება'' და რევოლუცია თავის-თავად, მთავრობისათვის მოულოდნელად დაიწყო და დასრულდა კიდეც.

,,რუსეთში რევოლუციის მოტრფიალე ,,ინტელიგენტები'' კრებებისა და ბანკეტების დროს მეტსაც სჩადიან კიდევ: ისინი პირდაპირ აგინებენ მთავრობას, ხმამაღლა მოითხოვენ არსებული წესწყობილების დამხობას, აშკარად ირჩევენ კონსტიტუციისა და რესპუბლიკის პროექტებს, ამ პროექტებს ფოსტით თუ პირადად აძლევენ ხელმწიფეს,—აშკარად აჯანყებენ ხალხს მთავრობისა და არსებულ წესწყობილების საწინააღმდეგოდ.

,,ასე თავისუფლად საფრანგეთშიაც კი ვერ ემზადებოდნენ რევოლუციის მოსახდენად!..

მაგრამ „ინტელიგენტები“ მაინც კმაყოფილნი არ არიან, მათ კიდევ ორი რამე ხელს უშლის საქმეში: პეტერბურგის მეეზოვენი, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ მცხოვრებლებს და უძნელებენ სარევოლუციო კრებების მოხდენას, პროკლამაციების დაბეჭდვას და შენახვასაც, ყუმბარების გაკეთებას და სხვა, და, მეორეს მხრივ—გაძლიერებულ დაცვის წესები, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას აძნელებს ყველგან.

„ამიტომ სცდილობენ ამ ორ დაბრკოლების მოსპობას. პეტერბურგის ქალაქის საბჭომ მთავრობასთან ენერგიული შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ „დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ პეტერბურგის მეეზოვენი საპოლიციო სამსახურიდან“, რომელიც მათთვის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელიც არისო. გაძლიერებულ დაცვის მოსპობას ხომ ყველა პეტიციით, რეზოლუციითა და ადრესებით მოითხოვენ ინტელიგენტები, განსაკუთრებით 18 თებერვლის შემდეგ,—ფოსტით, დეპეშით და პირადადაც.

„თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ გაძლიერებულ დაცვის წესები მოსპო ზოგან, მაგრამ მის გადადგომის შემდეგ ყველგან შეიქმნა საჭირო ამ წესების ხელ-ახლად შემოღება, იქაც კი, სადაც უწინ ასეთი წესები არ იყო.

,,თვით ცხოვრებამ გადასწყვიტა საკითხი გაძლიერებულ დაცვის შესახებ. რევოლუციის მოტრფიალენი კი ამბობენ, გამოცდილებამ გვიჩვენაო ამჟამად, რომ ახლა ეს წესები... უნდა მოისპოსო სრულებით, რითაც, რასაკვირველია, გაადვილდება რევოლუცია“.

„მოსკოვსკია ვედომოსტი“ ამბობს, ყველგან, მთელს რუსეთში, უნდა შემოიღოთ გაძლიერებულ დაცვის წესები არეულობის მოსასპობადო.

რუსეთის ცენტრი და განაპირა ადგილები.

—

საზოგადოებრივი მოძრაობის თანდათანი გაძლიერება დღევანდელ დროის დამახასიათებელ თვისებას, მის შინაარსს შეადგენს. ამიტომ მეტად საინტერესოა მოძრაობის ტერიტორიალურად განაწილება. მოძრაობა უმაღლეს წერტილამდე ფინლიანდიაში და პოლონეთში მივიდა. ამათ კავკასია და საქართველო მოსდევთ. რუსეთში კი მოძრაობაში უპირველესი ადგილი სამხრეთს უჭირავს, უკანასკნელი—შუაგულ გუბერნიებს. დედა-ქალაქები აქ, რასაკვირველია, ანგარიშში ჩასაგდები არ არის. ნათლად სჩანს, რომ საზოგადოებრივი მოძრაობის ტერიტორიალურს შემოხაზულობას შემთხვევითი ხასიათი არა აქვს. რუსეთის დასავლეთის ნაწილის პირველობა მოძრაობაში მაღალის კულტურის, წინანდებურ პოლიტიკურის წესწყობილების პროგრესიულ ფორმებისა და ეროვნულ უფლებებისთვის ბრძოლის შედეგია. საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ხსოვნა იმ დროისა, როდესაც ის პოლიტიკურად თავისუფალი იყო. მოძრაობას ხელს უწყობს კიდევ სამარცხვინო და ულმობელი პოლიტიკა რუსიფიკაციისა, რომელიც ქართველებში ეროვნულ თავმოყვარეობას იწვევს. კავკასიის მოძრაობამ კიდევ ერთს მეტად საყურადღებო ფაქტს მოჰინა შუქი. აქამდი კავკასიის მთიელები რუსების საზოგადოებას ბარბაროსებად მიაჩნდა, კავკასიის მოძრაობამ კი დაუმტკიცა მას, რომ თავის ღირსებით, ინიციატივითა და თავისუფლების უღრმეს სიყვარულით კავკასიის მთიელნი რუსის გლეხზე გაცილებით მაღლა სდგანან. კავკასია მდიდარია არამც თუ მარტო მადნეულობით, არამედ ზნეობრივი ძალებითაც. რუსეთის სახელმწიფოს პროვინციებს შორის კავკასია მაღლე საპატიო ადგილს დაიჭერს. ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვიწინასწარმეტყველოთ, რომ კავკასიას დიდი პოლიტიკური მეტამორფოზები (გარდაქმნა) მოელის. მხოლოდ რუსეთის შუაგული გუბერნიები ჩამორჩა რუსეთის საერთო მოძრაობას. მიუხედავად ამისა მოძრაობა. უფრო და უფრო ღრმად იდგამს ფესვებს და მალე მთელს რუსეთის ტერიტორიას მოედება. ახალმა რეჟიმმა უნდა მთელი თავისი ძალ-ღონე რუსეთის უკან ჩამორჩენილ ნაწილების გამოცოცხლებას და გამობრუნებას მოახმაროს (ნ).

საარჩევნო ხმის განაწილება ბულიგინის პროექტით

ბულიგინის პროექტით, რომელიც მინისტრთა საბჭომ ერთხმად შეიწყნარა, სახელმწიფო საბჭოში ხალხის წარმომადგენელთა რაოდენობა ოთხის ვერსიით არის შემუშავებული. მოგვყავს უმთავრესი ცნობანი:

	1 ვერს.	2 ვერს.	3 ვერს.	4 ვერს.
პეტერბურგის გუბ.	8	8	6	8
მოსკოვის გუბ.	9	10	7	8
როსტოვის ოლქი	10	11	9	9
კიევის გუბერ.	14	4	12	12
სარატოვის გუბ.	10	10	8	9
ოდესის გუბ.	10	11	8	9
ლიფლიანდიის გუბ.	5	5	4	4
ბესარაბიის გუბ.	8	8	7	7
ასტრახანის გუბ.	4	5	3	4
ხარკოვის გუბ.	10	10	8	9
პოლონეთი	34	36	24	31
კავკასია	30	34	23	27
ციმბირი	21	25	16	19
კასპიის გაღმა მხარე	24	29	21	23

როგორც ცხრილიდან სჩანს, საბჭოში არ ეყოლებათ თავისი წარმომადგენელნი სახალინს, ჩერნომორსკის გუბერნიას, ამურისა და პრიმორსკის ოლქებს. ბულიგინის პროექტით, მხოლოდ შემდეგს ქალაქებსა აქვთ უფლება თავის წარმომადგენლის არჩევისა: ასტრახანს, კიშინიოვს, ვილნოს, დონის-როსტოვს, ეკატერინოსლავს, ყაზანს, კიევს, რიგას, სარატოვს, ტულას, ხარკოვს, ოდესას, ვარშავას, ლოძს, ბაქოს, ტფილისს, ტაშკენტს—თითო წარმომადგენელი. პეტერბურგს—5, მოსკოვს—4.

კერძოდ კავკასიაში ასეა განაწილებული:

ბაქოს გუბ. მაზრები და ქალაქები—2 (3).
დაღესტნის ოლქი—2.
განჯის გუბერნია—3.
ყარსის ოლქი—1.
ყუბანის ოლქი—7.
ქუთაისის გუბ.—4 (3).
თერგის ოლქი—3 (4).
ტფილისის გუბერ.—3.
ერევნის გუბერ.—4 (2).

ამ პროექტით, საარჩევნო უფლება და არჩეულ პირთა უფლება სახელმწიფო საბჭოში შესასვლელად დამყარებული იქმნება განსაზღვრულ ქონებრივ ცენზზე, ქვეშევრდომობისა და წლოვანობის მიხედვით.

ქონებრივი ცენზი ყველა წოდებისათვის, გლეხთა გარდა, 1864 წ. საერობო დებულებით განისაზღვრება. გლეხებს მხოლოდ მაშინ ეძლევათ საარჩევნო უფლება, თუ ნადელები ან ნასყიდობა აქვთ.

სამედიატორო სამართალი.

—

სამედიატორო სამართალმა გაარჩია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის ა. ბ. სემენენკოს საჩივარი სტუდენტ თავ. დ. ა. ხერხეულიძეზე. სემენენკო უჩიოდა ხერხეულიძეს, ცილი დამწამა, ჩემს შესახებ ცუდ ხმებს ავრცელებდა და ჩემს პატიოსნებას ჩირქს სცხებდაო. მოსამართლეებად იყვნენ: ნ. ა. ხუდადოვი, ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, დ. დ. ყიფიანი. გ. ნ. სოკოლოვსკი და კ. ა. კაზლოვი. სასამართლომ 24 ივნისს დაადგინა და შემდეგი განაჩენი გამოიტანა: 1) სასამართლოს არავითარი საბუთი არ წარუდგინეს იმის დასამტკიცებლად, რომ 1904 წ. მოსკოვში ქართველ „ზემლიაჩესტვოს“ სტუდენტთა დაპატიმრება სემენენკოს დასმენით ან მის მონაწილეობით მოხდარიყოს. 2) თუმცა ხერხეულიძეს პირველს არ უთქვამს, რომ სემენენკოა ამ შემთხვევაში დამბეზღებელიო, მაგრამ მაინც არავითარი საბუთი და უფლება არა ჰქონდა ამხანაგებისთვის დატუსაღების დროს ეთქვა, „ზემლიაჩესტვო“ სემენენკომ გასცაო. 3) ბ-ნ სემენენკოს ხასიათის ზოგიერთ თვისებათა გამო ამხანაგების ერთს ჯგუფს შეეძლო ეჭვი აეღო და ეფიქრა, სემენენკოა „ზემლიაჩესტვოს“ გამცემიო. 4) სასამართლოს საკმაო საბუთი არა აქვს დაამტკიცოს, რომ ხერხეულიძე სემენენკოს შესახებ ცუდ ხმებს ავრცელებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხერხეულიძემ ამის გამო ლევან ყიფიანი გააფრთხილა, ეს კი საკმარისი არ არის, ხერხეულიძეს ბოროტი განზრახვა შევსწამოთ. 5) რაკი შეიტყო, რომ სემენენკო დაეძებს იმ კაცს, ვინც „ზემლიაჩესტვოს“ დატუსაღებისას სემენენკო გამცემლად დაასახელა, ხერხეულიძე მოვალე იყო პირში წასდგომოდა სემენენკოსა. 6) რადგან ხერხეულიძე არა ყოფილა სათავე სემენენკოზე გავრცელებულის ხმებისა, მედიატორეთა აზრით, თავ. ხერხეულიძე მოვალე არ იყო სტუდენტი სემენენკოს ამხანაგებ შორის პირდაპირ ემხილებინა ან დაეჩივლა იმ წრეებში, რომლებშიაც ბ-ნი სემენენკო დიარებოდა.

დგენს და დიდ ამაგსაც უწევს ხალხს. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ პრესსა და საზოგადოებრივი აზრი მართავს დღეს მთელს ამერიკას.

რა თქმა უნდა, არ არსებობს ცენზურის რაიმე ნასახიც. მხოლოდ საერთო სასამართლოებს ექვემდებარება ამ სფერაში დანაშაულის განხილვა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ კერძო პირები მიმართავენ სასამართლოს.

აგრეთვე სრული თავისუფლებაა დამყარებული კრების გამართვისა და კოლლექტიურ განცხადების (პეტიციების) წარდგენის შესახებ.

როგორც კრების თავისუფლება, ისე პეტიციების წარდგენის უფლება ერთი აუცილებელი საშუალებათაგანია, რომ ხალხმა თავისი ნება—„ხალხის სუვერენიტეტი“—ხალხის ბატონობა—ადვილად განახორციელოს.

ჩრდილო-ამერიკაში მუდმივი ჯარი თითქმის არ არსებობს. ის ჯარი, რომელიც არის პრეზიდენტის განკარგულებაში, ისე მცირე რიცხოვანია, რომ მარტო ამ ჯარის საშუალებით პრეზიდენტი ვერც ერთ თავის განკარგულებას ვერ მოიყვანდა სისრულეში. სამაგიეროდ, ყოველ შტატს ჰყავს საკუთარი სახალხო მილიცია, რომელიც საჭიროების დროს თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებს.

ყოველ მოქალაქეს ნება აქვს იქონიოს და ატაროს იარაღი, თუკი მას სსურს.

ყოველ ადამიანის პიროვნება, მისი ბინა, სახლი, ქაღალდები და ნივთები ხელშეუხებელია. კანონი სასტიკად იცავს ამ უფლებებს და მათი დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ეჭვი უტყუარ ფაქტებზე არის დამყარებული.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მხოლოდ პირადი თავისუფლების შეზღუდვა და ბრალდებულის დაჭერა.

პასუხისგებაში მიცემა ბრალდებულისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განაცხადა და დაადგინა. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ნაფიცი მსაჯულები ამ შემთხვევაში ყოველთვის უფრო სამართლიანად იქცევიან, ვიდრე დანიშნული მსაჯულები, პირად ხელშეუხებლობის კანონის (habeas corpus) ძალით.

24 საათში უსათუოდ უნდა იქნეს განხილული დაჭერის მიზეზები და დამნაშავეც ნაფიც მოსამართლეებს უნდა წარედგინოს, რომელნიც დაადგენენ, გაანთავისუფლონ თუ არა დაჭერილი პირი.

კონგრესს ნება აქვს ამ კანონში ცვლილება შეიტანოს მხოლოდ აჯანყებისა და მტრის შემოსევის დროს. ბრალდებულს ყოველგვარი საშუალება და შეღავათი ეძლევა თავი დაიცვას და კიდეც გაიმართლოს.

კონსტიტუციით აკრძალულია მონობა და ბატონ-ყმობა. კანონის წინაშე სრული თანასწორობა არის გამეფებული. არავის ნება არა აქვს ძალით ვინმე იმსახუროს. გაფიცვის თავისუფლება მტკიცედ არის აღიარებული.

არჩევნებში ყველა სრულ-წლოვან ამერიკელს აქვს ხმა და ამ მხრივ უპირატესობას არავის აძლევენ. სხვადასხვა-გვარი წოდება, როგორც თავად-აზნაურობა, გლეხობა და სხვა,—არ არსებობს და არც არავის აქვს ნება მიანიჭოს ვისმე აზნაურისა, ან სხვა წოდების უპირატესობა.

ყველა მცხოვრებნი შეერთებულ შტატების რესპუბლიკისა თანასწორ-უფლებიან მოქალაქეებად ითვლებიან.

აი, საზოგადოდ ის პრინციპები, რომელზედაც დამყარებულია ამერიკის ფედერატიული წესწყობილება.

უფლება აქ სასტიკად არის განაწილებული სხვადასხვა ორგანოთა შორის. ერთს აქვს კანონმდებლობითი უფლება,—კანონებს იხილავს და ადგენს; მეორეს აქვს აღმასრულებელი უფლება და კანონის დადგენილებას ასრულებს მესამეს კი გასამართლების უფლება ეკუთვნის და ხალხს ასამართლებს. ეს ორგანოები ერთმანეთს ვერ შეედავებიან და ხელს ვერ შეუშლიან.

ფრიდონ.

ლ ა ჩ ა რ ი

(ამონაკვესი)

ყმაწვილი ვიყავი... ჯანღონით სავსე, სიცოცხლის ტრფიალი, გრძნობათა თაიგული. ცხოვრება ოცნების სამყაროდ მეჩვენებოდა, ადამიანი ღვთის სახედ. მიყვარდა მწერლობა და მასში აღწერილი ჩემი სამშობლო. გულსა მტაცებდა ამწვანებული, ბუმბერაზი მთები, ვარსკვლავებით მოქარგული ლაჟვარდოვანი ცა, მობიბინე ველმინდორი, ქოჩორ-ხუჭუჭა მდელო-ბორცვები, მიმდორებული ალაზანი, მოდუდუნე მტკვარი, მომჩქეფარე არაგვი, მომყეფარე თერგი, მთაველთა და ზღვა-ოკეანეთა პირმშო შიკრიკი, ცელქი ნიავი, მისი იდუმალი ჩურჩული ჩირგვბუჩქნართან, მთის კონცხზე ეულად მდგარ ფიჭვნაძვთან, ზღვის აქოჩრილ ზვირთებთან... მიყვარდა და ბედნიერი ვიყავ. ხოლო, თუ ოდესმე სევდა რამ ესტუმრებოდა ხოლმე ჩემს ინადიანსა, აზიზს ოცნებას, გავრბოდი ველად, ტყეში, მთის მიჩრდილულ ხევ-ხუვებში და იქ, მთის ნაცრემლს, მოლუკლუკე ანკარა წყაროს ვუზიარებდი გულის ნადებს...

* * *

ერთხელ... მზე კაშკაშებდა. მთის ქედური თეთრადა კრთოდა. ძირს, გაშლილ ველზე, მიყურსებულ მთის ქანჩახებში, ლეგა ნისლი ჩაწოლილიყო. შავის მანტიით ჰაერ-დახშულ სამყაროს მკერდზე, ამაყ ბუნების ამაყი შვილი—მთის ჩანჩქერი მოსჩქეფდა.

დაიძრა ნისლი, მთელი მიდამო ბნელით დაბურა, შეეფინა მთათა კალთებს, მზის სხივი შეჰკრა, ჩანჩქერი გააჯავრა, აახმაურა:

— გზა მომეცით!—გმინავდა ჩახრიალი, ტანის მკერდიდან მედგრად მოსჩქეფდა, ძირს ქვებს ეხეთქებოდა, მძინარა პირს ჰბანდა, ბურანიდან გამოჰყავდა და რიხიანად დასძახოდა:

— გზა მომეცით!.. გზა! გამოიღვიძეთ!.. მთელი ბუნება ახმაურდა, გამოიღვიძა. მთის არწივივით თავისუფალ ჩანჩქერის გრგვინვას ველ-მინდორმა ბანი მისცა და შესძახა:—გზა ჩემს პირმშოს, გაუმარჯოს ამაყს ჩანჩქერსაო.

ამოძრავდა ტყე, ხელი-ხელს სტყორცნა, აშრიალდა, ახმაურდა, იზნიქებოდა, ტოტებს ტოტებზე ხლართავდა... ხელი-ხელ გაბმული ზრიალებდა... მთამ იწყინა ველის კადნიერება, ჩანჩქერის ვაჟკაცური კიჟინი... დაჰბერა ქარმა, შეიგრაგნა ცაც, შავ-ბნელად მოიღუშა, ცეცხლის გორგალი სტყორცნა ველ-მინდორს და ჩახრიალას თავზე გესლიანის მუქარით გადიხარხარა...

— რას ბობოქრობთ?... რა მოგსურვებიათ?..

— სიცოცხლე, თავისუფლება... ზრიალებდა მთელი სამყარო.

— ვერ მოგართვით!.. გრიალებდნენ მთები.

— მიეცით, მიეცით-მეთქი სიცოცხლე სამყაროს!.. მედიდურად შევძახე მათ, კუშტად შევხედე... მკლავებ გაშლილი გულში ჩავეკარ ღვთიურს სამყარს... სულის კვეთება მებრძოლ ძალას გულს ჩავაგრიხე...

* * *

დრო გავიდა... წამოვიზარდე... საარაკო სიზმარივით გულს ჩამრჩენია ერთი საღამო. ცხოვრების ორპოფობით გაბოროტებული, ველად ვილტოდი, ხმელეთისავით უსწორ-მასწორო, ცხოვრების ოღრო-ჩოღრო საკანს გავურბოდი.

მდელო ბიბინებდა. ნიავი ჰქროდა. ძარაგადშეკრული ცის-კამარა ჩემს სევდიანს გულს ემსგავსებოდა. იდუმალს შემაძრწუნებელ დუმილს მოეცვა არე-მარე... ჩემს წინ, ულუწვდენელ ველად ბანაკი გაჰმულიყო. მეომართ მისძინები დათ. მათი დამშვიდებული ფშვინვა ეცილებოდა ნიავის სისინს. ბანაკის წინ, ტუჩი-ტუჩ მიყრდომილი, შუბ-ლესულა თოფები ერთმანეთს ჩაჰკროდნენ, დარაზმულიყვნენ. დაუდეგარი ნიავი არ ისვენებდა: ჩაუსისინებდა მოდარაჯე თოფებს და შორად, შორად, კორდებზე მიძინებულ ბუჩქებს, ქანჩახებში მოლუკლუკე წყაროს, მთა ღრეთა ავსულთ მიუტიტინებდა ნახულს ამბავს... მარაგი ცის კიდური მთლად მოპირქუშდა, მრისხანედ შეიკრა კოპები და—კუშტმა—შავი დროშაააფრიალა...

— სისხლი!.. ფრიალებდა შავი დროშა და შუაგულში სისხლის ბორბალს ადუღებდა... ცათა სამყარო სისხლის სუნით გაიჟღინთა...

აფრიალდა წითელი დროშაც... მეორე, მესამე... მთელი კამარა დროშებმა დაჰფარა. იარაღი ჰჟღერდა... ცა მრისხანედ გუგუნებდა... ზენა სამყარო ძირის ბანაკს ხარბად დასჩერებოდა...

— სისხლი!.. სისხლი!..—ირყეოდა სამყარო და დაბლა რაზმს ანთებულის თვალებით შთანთქმას ემუქრებოდა...—მეც საბრძოლველად მიწვევდა იგი.

მე კი?..

თვალი მოვარიდე შემზარავს სურათს... შიშისგან ადამიანობა გულში ჩავიკალ და... განვშორდი... ლაჩარი!..

—სისხლი!.. სისხლი!..—ზრიალებდა მთა-ბარი, ცა და ქვეყანა, ზღვა და ხმელეთი, და ერთმანეთს ეხეთქებოდა. ყიჟინმა, ზრიალ-გუგუნმა, ჰქა-ქუხილმა შთანთქა სამყარო... მთვარე დაბნელდა, ვარსკვლავები ჩქარა... სისხლის მდინარე მოსკდა...

— ზავი!.. ზავი!..—დაიკვნესა სიმშვიდის ანგელოზმა და თეთრი, სპეტაკი დროშაააფრიალა...

ნათელი ჩამიდგა გულში. თვალ-ცრემლიანი, ათრთოლებული პირჯვე დავიწერე... ზავის ანგელოზს თაყვანი ვეცი... ბრძოლა აღარ მჭირდებოდა.

ანგელოზს დაეგვიანა... მთელი ველი სისხლის ზღვად გადაქცეულიყო... წითლად შეღებილნი მსხვერპლნი ზედაპირად მოეგდო... წითელი დროშა აღარაღ სჩანდა სისხლის მორევთან... შავი დროშა წითლად დაჩითულიყო... სამფერ დროშის ნაფლეთები აქა-იქ ტივტივებდა... ანგელოზი უეცრად შეკრთა... სიტყვა ტუჩებზე შეაშრა... საშინლად დაიგმინა... დროშა ხელიდან გაეშვა და თვალთაგან მიმეფარა... თან წარიტაცა ჩემი სასოება, მშვიდობა ჩემის გულისა... ამიერიდან არღარა დარჩა-რა ცოდვილს ქვეყანაზე შეუბღალავი!... ყველა სისხლის მორევში დასცურავდა...

* * *

გამოვერკვიე... მზე ისევ ისე დაჰნათის ჩემს სამშობლოს, ვარსკვლავები ისევ თვალთ-მიბნედით უეუკეუკებს, ბადრი მთვარე ისევ აშიკად დაჰთაქთაქებს, ცელქი ნიავი ისევ გზნეულად უსისინებს აფეთქილ მდელო-კორდებს, მთის წყაროები ისევ იდუმალ ჰანგებს ულუკლუკებს მთა-ბარს.., მაგრამ ჩემი გული კი საგულეს ვეღარ ჰპოულობს... სულის მშვიდობა მოეშხამა, გამოესალმა... რადგან... ლაჩარს აღარავინ მიკარებს...

ნარკანი.

რუსეთი

გაზ. „რუსკია ვედომოსტი“-ს № 164-ში „წერილი რედაქც. მიმართ“ არის დაბეჭდილი. ამ წერილში გამოიხატება ის **პირობები, რომელშიაც ჩაყენებულია ზოგიერთ გაზეთის გამოცემა** რუსეთში. აი, ეს წერილი, რომელიც რუსეთის სხვა გაზეთებშიაც არის გადაბეჭდილი:

„რაკი ჩემგან გამოცემულ გაზეთ „სინ ოტეჩესტვას“ ფურცლებზე საშუალებას მოკლებული ვარ გავაცნო მკითხველებს ის პირობები, რომელშიაც გაზეთის გამოცემა ჩაყენებულია,— გთხოვთ ამიტომ თქვენს გაზეთში საამისოდ მცირეოდენი ადგილი დამითმოთ. გაზეთი რომ განახლდა, რამოდენიმე ნომერი ზედი-ზედ დაიჭირა ცენზურამ. ის ვალდებულება, რომელიც რედაქციას მიუღია მკითხველების წინაშე, აიძულებდა მას დასაბეჭდად დამზადებულ ნომრიდან ამოეგდო ყველა ის ამბავი ან ცალკე წერილი, რომელშიაც, ცენზორის აზრით, შეიძლებოდა „მავნე“ მიმართულების აღმოჩენა. ამნაირმა ძალაუნებურმა შეთანხმებამ ცენზორთან განსაკუთრებულ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა გაზეთი. ცენზორი თავისი „უფლებით“ სარგებლობდა, თავის „ნებაზე“ ანადგურებდა ნომერს, ათას სტრიქონობით შლიდა შიგ, შლიდა ახალ ამბებს, შლიდა სხვა გაზეთებიდან ამოღებულ ამბებსაც. სარედაქციო წერილებს თითქმის ყოველ დღე სპობდა, არ უშვებდა ახალ ამბების ნაწილს, რომელიც ადგილობრივ სხვა გაზეთებში გამოდიოდა, შლიდა ისეთ წერილებს, რომელიც სხვა გაზეთებში წაუშლელად იბეჭდებოდა. ზოგიერთი ამოშლილი წერილი იმავე ცენზორის ნებართვით სხვა გაზეთებში გამოდიოდა. როდესაც ამ პირობების შემსუბუქება ვითხოვე, მიპასუხეს: „დახურეთ გაზეთი,—სულ ერთია, დაგახურვინებთო“. ეს სიტყვები უბრალო მუქარა არ იყო. ამას წინად გამომიცხადეს,— ცენზორთან შეთანხმებით გაზეთის ბეჭდვა აღარ შეიძლება,—რამე საეჭვო თუ იქმნა დაბეჭდილი,—მთელ ნომერს დავიჭერთო. ამის მიხედვით, ჩვენც შევადგინეთ გაზეთის ნომერი, რომელშიაც საპოლიტიკო არაფერი არ იყო, მაგრამ ცენზურამ მაინც დაიჭირა ნომერი; მიზეზიც არ აუხსნეს, შემდეგ კი დამიახლეს ერთი ცნობა, რომელიც მთავრობის მომხრე გაზეთ „დენ“-იდან გადმობეჭდილი იყო. მეორე ნომერი კიდევ უფრო მეტის სიფრთხილით შევადგინეთ, მაგრამ მაინც დაიჭირეს. ყოველივე ეს აშკარად ხდის, რომ ჩვენს გაზეთს რაღაც არა-ჩვეულებრივს პირობებში აყენებენ. რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს ცენზორი,—არ ვიცით. ვფიქრობთ კი, რომ ყველა ეს უკანონო სასჯელი გაზეთზე, რომელსაც თავისი ხელის მომწერლები და ქონებრივად მასზე დამოკიდებული თანამშრომლები ჰყავს,—„ხალხს ვერ დაამშვიდებს“, მით უფრო მაშინ, როდესაც დღეს თუ ხვალ უნდა შესძინონ ხალხს წარმომადგენლები და პრესსის თავისუფლება გამოაცხადონ.

გაზ. „სინ ოტეჩესტვის“ რედაქტორ-გამომცემელი **სერგეი იურიცინი**“.

ამ წერილს შემდეგ იურიცინს საჩივარი შეუტანია სასამართლოში ცენზორზე,—ზარალს უჩივის, რომელიც ცენზორის უკანონო მოქცევის გამო მოსვლია (ნ. ვ.).

◆ სტ.-სეკრეტარი **ბეზობრაზოვი**,—პეტერბურგში ძლიერ ავად ყოფილა და **აღარ მორჩებაო**.

◆ ეკატერინოსლავში ქალაქის ბაღიდან ხალხის განდევნის დროს **შეტაკება მომხდარა**. რამოდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა. ქარხნებსა, ტელეგრაფსა და ფოსტაში ჯარი სდგას (რ. ს.).

◆ კავკავის რკინის გზის მატარებელში ერთი მგზავრი **ხოლერით მოკვდა**, ვაგონი ჩამოხსნეს და ცალკე გადასდგეს (რ. ს.).

◆ ოდესიდან იტყობინებიან: **ოდესის სავაჭრო ნავთსადგურის აღსადგენად** რამდენისამე წლის განუწყვეტელი მუშაობა და რამდენიმე მილიონი ხარჯია საჭირო (რ. ს.).

◆ კონსერვატიულ გაზ. „სვეტში“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა **„პოტიომკინის“ შესახებ**. ჯავშნიან გემის „პოტიომკინის“ მეზღვაურებმა უცხოეთის სახელმწიფოების მთავრობებს შეატყობინეს: „რუსეთის მთავრობასთან მედგარი ბრძოლა დაწყებულია. ამას ყველა უცხოელ სახელმწიფოს ვატყობინებთ და საჭიროდაც ვრაცხთ შევატყობინოთ, რომ უზრუნველვყოფთ ყველა უცხოელ გემის უვნებლობას, აგრეთვე ყველა არა-რუს ნავთსადგურთა უვნებლობასაც. (ს. ოტ.).

◆ **არეულობა ბელოსტოკში**. „ს.-პეტერბურგსკია ვედ.“-ს ატყობინებენ: „უკვე მესამე დღეა, რაც ბელოსტოკში ცხოვრება შეჩერდა. ქუჩებში დღეც კი არავინა სჩანს, დუქნები დაკეტილია, ქარხნებში აღარ მუშაობენ, ტრამვაი აღარ დადის. ქუჩებში მხოლოდ პატრულები არიან. ერთს ხანად ხმა გავრცელდა, ლოძისა და ვარშავასთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად საერთო გაფიცვა უნდა მოახდინონო, მაგრამ ჩვენ ისე შევეჩვიეთ გაფიცვებს, რომ ახლა აღარავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ. 21 ივნისს, დილით, ზოგიერთ ქარხნებში გაფიცვა დაიწყო. ქალაქში შუა-დღემდის სრული სიწყნარე იყო. მუშები არსადა სჩანდნენ. დაღამდა. ხალხი სახლებში მიიმალა. ქალაქი პოლიციელებითა და ჯარით გაივსო. უცბად საიდღანაც გადმოვარდა ყუმბარა, რომელმაც ექვსი კაცი დასჭრა: პოლიცმეისტერის თანაშემწე გუბსკი, ბოქაული ჟოლტკევიჩინი, უბნის ზედამხედველი სავიცი, უფროსი პოლიციელი, ახალგაზდა ქალი ბასი და ერთიც ახალგაზდა ნოქარი. ყუმბარის გადამგდები დაიმალა. აქა-იქ ასტყდა სროლა, რომელიც ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მცხოვრებლები ძალიან აღელვებულნი არიან (ნ.).

◆ გაზეთები **შემდეგ ცნობებს იტყობინებიან იმ აფეთქების შესახებ**, რომელიც პეტერბურგში მოხდა: აფეთქება მომხდარა 11 ივნისს, 4 საათზე. მოკლულია პოლკოვნიკი რასევიჩი და მეყუმბარეები სერგეევი და პეტრუნენკო. აფეთქებას ისეთი საშინელი ძალა ჰქონია, რომ ყველა მახლობელი შენობები მიუნგრ-მოუგრევია. რამ გამოიწვია აფეთქება,—ჯერ ეს დანამდვილებით არავინ იცის, მთავრობის ბრძანებით, იმ ადგილთან, სადაც ეს კატასტროფა მოხდა, ჯარი დგას და სანახავად ახლო არავის უშვებენ. (ნ. დ.)

◆ უცხოეთის გაზეთების სიტყვით, ის ზარალი, რომელიც ოდესას მოუვიდა, **სამოც მილიონამდე იქნებაო** („რუს. სლ.“).

კორესპონდენცია

თელავი. ერთად-ერთ შემაერთებელ გზად კახეთისა და დანარჩენ საქართველოს შორის ითვლება, ეგრედ-წოდებული, კახეთის გზა, რომელიც იწყება თელავიდან, გადადის ცივ გომბორის მთაზე და თავდება ტფილისში.

ამ გზის სიავ-კარგზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, მაგრამ გზა ისევე უხერხულადა რჩება და მის მოვლა-შეკეთებას ყურადღებას არავინ აქცევს. მართალია, ჰყავს ინჟენერი, მაგრამ მის ნამუშავარ-ნაშრომის ნაყოფს ჯერაც ვერა ვხედავთ.

ამ გზის სიავ-კარგე ნათლად დამტკიცდა 5—6 ივნისს, როდესაც საშინელმა წვიმებმა სულ გაანადგურეს იგი.

თრხევიდან დაწყებული ვიდრე თვით თელავამდე, გზა ალაგ-ალაგ სულ-ერთიან წალეკილი იყო.

გომბორს იქით გზა სულ დახრამულია, მაგრამ თეთრი-წყლების ახლო, ასე მეთორმეტე ვერსზე გომბორიდან, გზა ისეთნაირად არის გაფუჭებული, რომ გასვლა ფეხითაც კი სახიფათოა, ისე რომ მგზავრები იძულებულნი იყვნენ ეტლები მეორე მხარეს დაეტოვებინათ და თითონ ფეხით მისულიყვნენ სადგურამდე ბარგიც ხელით გადმოიტანეს.

უბედურება ის არის, რომ, რაც უნდა ძალიან გაუჭირდეთ, რაკი თელავს გამოსცდებით, თქვენს გაჭირებას ქალაქს ვერ შეატყობინებთ, თუ საკუთრად ამისთვის კაცი არ აფრინეთ.

ისეთ სადგურზე, როგორიც გომბორია, არ არის ტელეგრაფის აპარატი, რომ გაჭირების დროს, ან იქით, ან აქეთ, აცნობოს ამბავი და შველა მისცენ გაჭირებულთ.

სხვა სადგურებზე რომ არ იყოს აპარატები, კიდევ საკვირველი არ არის, მაგრამ გომბორზე, იქ, სადაც სულ მუდამ დაბანაკებულია ჯარი და ზაფხულობით მოაგარაკენი მოდიან, ტელეგრაფის უქონლობა დიდი დაუდევრობაა, თუნდაც იმავე ბიუროკრატიის მხრივ.

თვით თელავი წვიმებს ძალზე დაუზიანებია. მოვარდნილ წყალს რიყე მთლად წაულეკნია; წაუღია ხიდი, რომელიც იყო ამ რიყეზე, წყალი შევარდნია და გაუნადგურებია რიყის პირას მოვაჭრეებისა და წვრილი ხელოსნების დუქნები. შიგ ქალაქში ბევრგან შევარდნიათ სახლებში წყალი. როგორც ამბობენ, რამდენიმე ბავშვიც უმსხვერპლნია.

არც აქაური მღვდლები ჩამორჩნენ „მღვდელთა საერთო მოძრაობას“. დადგენილება იმის შესახებ, რომ ბლაღოჩინებმა შესწყვიტონ ყოველივე კავშირი ექსარხოსთანაო, აქ სრულს აღსრულებაში მოჰყავთ,

Z

წერილები რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ შემდეგი: ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა ერთმა ჯგუფმა (ქ-ნ მ. მდივანი, ურბნელი, ბ.ბ. დავ. ჩარკვიანი, ზარდალიშვილი, გრ. ჩარკვიანი, ჯაყელი, ამაშუკელი, ჯვარისელი, მურუსიძე) შეადგინა ამხანაგობა, შეკრიბა თეატრის დარბაზში დიდ-ძალი ხალხი და გამოიწვია ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელსაც მრავალი წვრილმანი ბრალი დასდო, როგორც რეჟისორს, ანტეპრენიორს და ამხანაგს. რომელი მათგანია მართალი, ამის გარჩევას ჩვენ არ შევუდგებით, მხოლოდ, რადგანაც მოსალოდნელია, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ამ საქმეში მონაწილეებად ჩვენც ჩაგვთვალოს, ამიტომ ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ არც ამ ახლად შემდგარ მსახიობთა ამხანაგობის წევრნი ვყოფილვართ და არც ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის განსჯა-გასამართლებაში მიგვიღია მონაწილეობა, როგორც ბრალმდებელთ.

უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ქართულ რედაქციებს ეს ჩვენი მცირე შენიშვნა გადაბეჭდონ.

ქუთაისის ქართ. დრამ. დასის მსახიობნი: ნ. დავითაშვილი, გიორგი თუთბერიძე, ნიკოლოოზ გვარაძე, დ. ბაქრაძე, ნემო (მ. ჯანოევი), ვასიკო აბულაძე, მიშა მარჯანიშვილი.

ქ. ქუთაისი.

II

ბ. რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ მე-102 ნომერში მოთავსებულია, „ქარ-ცეცხლის“ ფსევდონიმით, კორრესპონდენცია, სოფ. ცხინვალიდამ 12 ივნისს ჩემი იქ ყოფნის თაობაზე. ამ კორრესპონდენციაში, სხვათა შორის, ავტორი აუწყებს მკითხველს, რომ ჩემ-მიერ მოწვეულ ყრილობას არავინ არ დასწრებია. წავიკითხე რა მოხსენებული კორრესპონდენცია, მე დავრწმუნდი, რომ თვით ბ. კორრესპონდენტს არ უნებებია არამც თუ ყრილობაზე დასწრება, არამედ შორი-ახლოს მაინც ყოფნა, რადგანაც მისი წერილი სინამდვილეს არ ეთანხმება. აშკარაა, რომ ბ. კორრესპონდენტმა სრულიად არ უწყის არც ჩემი ცხინვალში წასვლის მიზანი, არც ჩემი იქ ყოფნის ხანგრძლივობა და არც ხალხისადმი ჩემი საუბარი, რომელსაც იგი ცდილობს მკითხველს გადასცეს, ვითომდა ჩემისავე სიტყვებით, უეჭველია, იმ აზრით, რომ, თუ ლაპარაკობს პოლიციის მოხელე, უთუოდ უნდა „ჯავრობდეს და იმუქრებოდეს“. მან არ უწყის აგრეთვე ის, თუ რა წესს ვადექი საუბრის გასამართავად ხალხთან, რომელიც, როგორც დავრწმუნდი, არ იყო წინააღმდეგი ჩემთან საუბრისა,—პირიქით, სურდა კიდეც, მაგრამ, წინადვე დაშინებული რამდენისამე „ხულიგანებისაგან“, თავად ვერ ბედავდა მოგროვებას და ამ გარემოებამ იძულებული მყო შემეკრიბა იგი კაზაკებისა და პოლიციის მოხელეების მფარველობით, სრულიად ძალა-დაუტანებლად. რათა მკითხველები დაარწმუნოს, რომ კორრესპონდენცია ტენდენციური არაა და მასში დაწერილი ამბავი მართალია, მივმართავ ბ. „ქარ-ცეცხლს“, კეთილ ინებოს და, თუნდა იმავე ფსევდონიმით, გამოაცხადოს, იმ ყრილობაზე მოგროვილ პირთაგან ვის სცემა კაზაკმა ან ბოქაულმა და აგრეთვე გვარი იმ ჩემის თანაშემწისა, რომელიც ვითომ მე მახლდა ცხინვალში ყოფნის დროს. ამჟამად ჩემს განკარგულებაში იმყოფება სამი მაზრის უფროსის თანაშემწე (ორი გორის მაზრისა და ერთი ახალციხისა) და ყველა ისინი 12 ივნისს იყვნენ გაგზავნილნი მაზრის სხვადასხვა ადგილებში სამსახურის თაობაზე.

ამიტომ გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, სიმართლის აღსადგენად გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში, რომ ნამდვილი მიზანი ჩემის წასვლისა ცხინვალში იყო არა არჩევანი სოფლის მოხელეებისა, რომელიც შეადგენს მომრიგებელ-შუამავალთა ვალდებულობას, არამედ საუბარი იმ კომიტეტის წევრებთან, რომელნიც განაგებენ ცხინვალში ცეცხლისგან დაზარალებულთა საქმეებს, მოყვანა სისრულეში ამ საქმეებისა და აგრეთვე, სხვათა შორის, საუბარი საზოგადოებასთან შესახებ ხალხის ეხლანდელ ხშირ კრებებისა და კეთილსაიმედო მცხოვრებთათვის წარმომდგარ არა-ნორმალურ და ძნელად ასატან მდგომარეობისა. აქედან ცხადია, რომ ბ-ნ ქარ-ცეცხლის კორრესპონდენციას დიდის სიფრთხილითა და წინდახედულობით უნდა მოეპყრას საზოგადოება.

გორის მაზრის უფროსი კაპიტანი **მიტკევიჩი**.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

1 ივლისი.

კავკასიის ამბები

„პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში, კავკასიაში რევოლუციონერებმა თავის მოქმედებით ძლიერ შეარყიეს მშვიდობიანი მიმდინარეობა ტფილისის ცხოვრებისა, რითაც სურდათ აურზაური გამოეწვიათ ადგილობრივს ეკონომიურს ცხოვრებაში და აგრეთვე სცდილობდნენ თავბრუ დაეხვიათ როგორც წესიერების მომხრე კერძო პირთა, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მცხოვრებთა დასაცველად მოწვეულ ჯარისათვის. 15 ივნისს, როცა კრება ჰქონდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა ერთ ჯგუფს, მომეტებულ ნაწილად რუსებს, რომელნიც გაფიცვის წინააღმდეგნი იყვნენ, მოჰკლეს ორი მოთავე ამ ჯგუფისა და მესამე მეთაურის მოკვლაც განიზრახეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. ვაგონების ამქრის ბრიგადირი ივანე რაკი ქუჩაში ასჩეხეს, ხოლო მეფეჩე მჭედლების ამქრისა ნიკოლოოზ სეჩენევი თავის სახლში მოჰკლეს.

მეორე დღეს, როცა ამ სისხლის ღვრით აღელვებული ბრბო, ათას კაცისაგან შემდგარი, შეგროვდა რკინის გზის სახელოსნოებთან, რათა მოელაპარაკნა ასეთ თავდასხმის ასაცდენ ზომების შესამუშავებლად, სახელოსნოებში დარჩენილმა მუშებმა დაუწყეს მათ რევოლვერების სროლა. ამ გარემოებამ აიძულა რუსი მუშები ქალაქ გარედ გასულიყვნენ მოსალაპარაკებლად. როცა ბრბომ ერთ საჩაის ფაქარა, მკვიდრ ეროვნების სამმა მუშამ ქვების სროლა დაუწყო. ერთი მათგანი შედგა სკამზე, ხელში პროკლამაცია დაიჭირა და სარევოლუციო შინაარსის სიტყვები წარმოსთქვა. ბრბო დაეცა თავს ამ სამ მუშას და უნდა ეცემნათ, მაგრამ რკინის გზის პოლიციის ჟანდარმებმა, ადგილობრივ ჟანდარმთა როტმისტრის მეთაურობით, დაიფარა ისინი ბრბოს რისხვისაგან და დააპატიმრა. მუშები დამშვიდნენ და უარი განაცხადეს თავიანთ ნებით მათ დასჯაზე მხოლოდ მაშინ, როცა პოლიცმეისტერმა აღუთქვა, დაგიფარავთ თავდასხმისაგანაო. ამის შემდეგ შეუდგნენ იმ ღონისძიებათა გამორკვევას, რომელიც მათის სიცოცხლის უზრუნველყოფას შეეხება. იმავე დღეს, 16 ივნისს, ღამის 10 საათზე, როცა კაზაკთა თანხლებით პოლიცმეისტერი მუშათა უბნიდან ბრუნდებოდა, ერთ დუქნიდან ესროლეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ მოახვედრეს. კაზაკთა პატრულმა, რომელიც ამ სროლაზე გაჩნდა, დაატუსაღა ამ დუქნის ორი მსახური ადგილობრივი მკვიდრი. ერთის საათის შემდეგ, იმავე მუშათა უბანში ქვეითა ჯარისკაცთა პატრულს თავს დაესხა რამდენიმე კაცი. ამ თავდასხმის დროს შეიპყრეს 5 სომეხი, ერთი რუსი და თირმეტი ადგილობრივი მკვიდრი სხვადასხვა ეროვნებისა. მეორე დღეს, ესე იგი 17 ივნისს, ხელახლა განიზრახეს მოკვლა კონსერვატორ მუშათა წრის მესამე მეთაურის ბორშჩოვისა, მაგრამ ამაოდ. მსროლელი ბორშჩოვმა დასჭრა ფეხში და ბორშჩოვის ამხანაგებსაც ძლიერ სცემა. ადგილობრივ პოლიციის განკარგულებით, რკინის გზის სახელოსნოები ჯარს გადაეცა დასაცველად 20 ივნისს ტფილისში საზოგადო გაფიცვა დაიწყო. შესწყვიტეს მუშაობა რკინის გზის სახელოსნოებში ქართველმა და სომეხმა მუშებმა, განაგრძნობდნენ მუშაობას მხოლოდ რუსი მუშები, რიცხვით 600-მდე კაცი. გაფიცულთ შეუერთდნენ ყველა კერძო სახელოსნოებისა და სტამბების მუშები. მუშათა ყრილობებსა და პროკლამაციებშიაც მოითხოვეს ქალაქიდან კაზაკების განდევნა, სამხედრო დარაჯების ყველგან გაუქმება და მილიციის დაარსება. 21 ივნისს რუსმა მუშებმაც დაჰყარეს მუშაობა, რადგანაც მოკვლას ემუქრებოდნენ. გაფიცულთ შეუერთდნენ ელექტრონის ტრამვაიზე ყველა მომუშავენიც. 22 ივნისს გაფიცვა უფრო გაძლიერდა. გაიფიცნენ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი, ქალაქის წყლისაყვანსა და ნავთის მილებზე მომუშავენი. ქალაქის მეფარნეებიც გაიფიცნენ და მთელი ქალაქი წყვდიადმა მოიცვა. ბაზრები დაიხურა. მუშაობდნენ მხოლოდ მეფურნეები. რუსმა მუშებმა სახელოსნოებში მხოლოდ ნახევარ დღეს შესწყვიტეს მუშაობა, შემდეგ კი 800-მდე კაცმა განაახლა მუშაობა, ხოლო 22 ივნისს კი მათი რიცხვი ათასამდე ავიდა. რუსებთან ერთად არც თათრებს შეუწყვეტნიათ მუშაობა და ვაჭრობასაც ჩვეულებრივად განაგრძობდნენ. 22 ივნ. კაზაკთა პოლკის მე-6 ასეულის სადგომთან, მწუხრის დროს, ვიღამაც მემუსიკეებს ყუმბარა ესროლა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ გასკდარა. მსროლელი მიიმალა. 24 ივნისს, ტფ. სხვადასხვა უბანში სამგან გადაისროლეს ყუმბარა. ერთი თათრის მოედანზე საღამოს 9 საათზე, რომელიც გასკდა, მძიმედ დასჭრა პოლიციის ბოქაული, პოლიციის მოხელე, დასჭრა სომეხი ვაჭარი და რამდენიმე გამვლელი. ამავე დროს კაზაკ დარაჯებს, რამდენიც ერთის სახლის მახლობლად იდგნენ, სახლის ბანიდან ყუმბარა ესროლეს, რომელმაც ორი კაზაკი მოჰკლა, ერთი მეეზოვე და ერთი გამვლელი მოქალაქე დასჭრა. სახლის ბანზე შეიპყრეს სახლის მდგმურნი, რომელნიც კაზაკებსა და პოლიციას გაურბოდნენ და იმალებოდნენ. მესამე ყუმბარა ცხენოსან კაზაკთათვის ყოფილიყო გამზადებული, რომელიც ქალაქის განაპირას კლდიდან ესროლეს კიდეც, მაგრამ ყუმბარა არ გასკდა. 25 ივნისს ეს გამუდმებული და შეუწყვეტელი ანარქიული ხასიათის ბოროტმოქმედება მეტად მძიმე და სამწუხარო შემთხვევით დაბოლოვდა, გამვლელთაგან სამი მოიკლა და 11 დაიჭრა. ამ საღამოს, როდესაც ქალაქი, საყოველთაო გაფიცვისა გამო, ჩაბნელებული იყო, ოლგინის ქუჩას ჯვარედინზე, გამვლელ ეტლებიდან ისროლეს ყუმბარა, რომელმაც მოკლა მეეზოვე და პოლიციელი, დასჭრა გამვლელი თათარი მძიმედ დაიჭრა კბილის ექიმი, ტეხნიკი, მეორე მეეზოვე, ერთი ქართველი, მსუბუქად—ორი ქალი პატარა ქალით და ოთხი სხვა გამვლელი. ბოროტ-მოქმედთა ეტლი სწრაფად მიეფარა ღამის სიბნელეში. იმავე დღეს, როდესაც პოლიციის მოხელე ილინმა ერთი სომეხი შეიპყრო, შეპყრობილმა გულში დასცა რევოლვერი და მეორე მხარეს გაახედა. მახლობლად მდგარმა კაზაკმა იქვე ხმლით მოჰკლა დამნაშავე. ამ ამბავმა იმ უბნების მოსახლეთა მხრივ გაუწესრიგებელი სროლა გამოიწვია, რაზედაც კაზაკებიც უპასუხებდნენ. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, ამის შემდეგ—ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს ტყვიით დაჭრილი ერთი სომეხი და ერთიც დედაკაცი. იყო თუ არა სხვა მსხვერპლი—ჯერ გამორკვეული არ არის. 24 ივნისს მყუდროების დასარღვევად ბოროტ-მოქმედებმა სხვა ხერხს მიმართეს. შეეცადნენ ტფილისის შუაგულში ნავთის საწყობისთვის ცეცხლი მიეცათ, მაგრამ მალე შეუტყო პოლიციამ, შესაფერი ზომები მიიღო და ბოროტ-განმზრახველნი შეიპყრო. 26 ივნ. პოლიციის ფხიზელ თვალს არ გამოეპარა ის შემთხვევა რომ ერთ ქართველ ქალს ნაშუადღევის 3 საათზე კალათით სამი გამზადებული ყუმბარა მიჰქონდა. ქალი შეიპყრო პოლიციამ. იმავე დღეს შეიპყრეს 7 კაცი, რომელნიც შემჩნეულნი იყვნენ, როგორც ყუმბარების დამზადებელნი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სხვადასხვა ალაგას დამზადებულ ყუმბარის მასალიდან ტფილისის მაზრაში, ავჭალისა და მცხეთის შუა, ერთს აგარაკზე ამზადებდნენ ყუმბარებს. ამისთვის 28 ივნისს, შებინდებისას, ჟანდარმთა როტმისტრის უფროსობით კაზაკთა რაზმი უჩუმრად გარს შემოერტყა იმ სახლს, შევიდა შიგ და ყუმბარის მასალის მთელი ლაბორატორია აღმოაჩინა, სწორედ ისეთის სისტემისა, როგორსაც წარსულს დღეებში ტფილისში ისროდნენ. დატუსაღებულ საყუმბარო მასალის გარდა 24 დამზადებული, 4 დინამიტით გატენილი ყუმბარა, რამდენიმე ფუთი დინამიტი (500 მასრა), აგრეთვე ნიტროგლიცერინი და ასაფეთქებელი ფისტონები იპოვნეს. ადგილობრივ შეიპყრეს სამი კაცი, რომელთაც თავის გვარის დასახელებაზე უარი განაცხადეს, მათ შორის ლაბორანტიც, რომელიც სცდილობდა აფეთქება მოეხდინა, მაგრამ პოლიციის მოხელის თავგანწირვამ ხელი შეუშალა. გაჩხრეკის დროს მახლობელ ბაღებიდან თოფებისა და რევოლვერების სროლა ისმოდა, რაზედაც კაზაკები სროლითვე უპასუხებდნენ. ბაღის დათვალიერებისას იპოვნეს ერთი უცნობი დაჭრილი კაცი. ამ საქმეში გარეული სულ 12 კაცი დააპატიმრეს, რომელთაგანაც უპირველესმა ლაბორანტმა 29 ივნისს სატუსაღოში თავისის სარტყლით თავი ჩამოიხრჩო. ზემოდ მოყვანილ საშიშარ მდგომარეობისა და ტერორისტულ ხასიათის მოვლენათა გამო, რაც ტფილისსა და მის მიდამოებში მოხდა, კავკასიის ნამესტნიკმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა უქვეშევრდომილესად იშუამდგომლა, რათა ტფილისსა და მის მიდამოებში სამხედრო წესები შემოეღოთ, რაც 27 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

პეტერბურგი, 1 ივლისი. სტატს-სეკრეტარის მ. ვ. მურავიოვის ავადმყოფობის გამო, ზავზე მოლაპარაკებისათვის რუსეთის რწმუნებულად დაინიშნა სტატს-სეკრეტარი ვიტტე.

ლონდონი. ლანსდოუნმა განაცხადა პარლამენტში, იმის გამო, რომ რუსებმა ჩინეთის ზღვაზე ინგლისელების გემები შეიპყრეს, უნდა ვავადოთო. „კალხასზე“ რუსებისაგან მითვისებულ ფქვილის საზღაური რუსებმა უკვე გადიხადესო. „არდოვის“ საქმეშიც ზარალიც აანაზღაურესო. გემის „ალლანტონის“ ფასიც გადიხადესო. „ფოტონ ხაფ“-ის პატრონებმა მათგანვე განცხადებულ ფასის 80 პროცენტი მიიღეს.

მოსკოვი. გრადონაჩალნიკის მკვლელი სიბირელია, პეტერბურგში მასწავლებლობდა. იმან განაცხადა, სოციალ-რევოლუციონერების პარტიის მებრძოლთა რაზმს ვეკუთვნი, რომელმაც შუვალოვს სიკვდილი განუსაჯაო.

ვაშინგტონი, 30 ივნისი. რუზველტმა [illegible] დარბაზობაზე მიიღო ბარონ როზენი.

ოდესა, 30 ივნ. მოვიდა ჯავშნოსანი „როსტისლავი“ და ტრანსპორტი „პრუტი“, რომელნიც წაიყვანენ დაპატიმრებულთა და დროებით აქ დატოვებულ მდაბიო მეზღვაურთ ჯავშნოსან „გიორგი პობედონოსეც“-იდან.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი**.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამალობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 45 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისათვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—10)

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ. (30—18)

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 іюля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.